

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
M A R S  
1931—№ 63

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე ტ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—ინგლისის ახალი გენი.  
კ—ი.—ასატურას ანგარიში.  
ე. გ.—14 რუსს მენშევიკის პროცესის გამო.  
ქვეყანა რომელსაც სესერეკა ეწოდება.  
კაქი—მოსკოვი წინეთ და ფსლა.

—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.  
პარტიზანები საქართველოსა და აზერბაიჯანში.  
საქართველოს ამბები.  
საქართველოს დაპყრობის 10 წლის-თავი.  
პ. შ. ვარდიცე—სტამბოლის მონ. და რ. ინგილო.

## ინგლისის ახალი გენი

ორი პირველხარისხიანი ამბავი: იტალია-საფრანგეთ-ინგლისის საზღვაო შეთანხმება და ირვინგანდის კომპრომისი, ორივე ჩატარებული რამზენი მაკდონალდის მთავრობის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით.

პირველ ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იპყრობს თვით ამ მთავრობის წარმომება და არაჩვეულებრივი მდგომარეობა პარლამენტში. წარმომდგარი ინგლისის მუშათა პარტიიდან, მეორე ინტერნაციონალის უგავლენიანეს სექციიდან, მაკდონალდის მთავრობა უმცირესობის მთავრობაა და, მიუხედავთ ამისა, აგერ ორი წელია, განაგებს მსოფლიოში უდიდეს იმპერიას, რომლის მანძილზედ მწყეკი არ ჩადის არასდროს.

რას შვრებიან ტორები და ვიგები, ანუ დღევანდელურათ, კონსერვატორები და ლიბერალები, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში განაგებდნენ იმპერიას? ნუ თუ სოციალისტებად იქცენ, როგორ ითმენენ უმცირესობის ხელისუფლებას?

მიუღწეველი მიღწეულია და ეს შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელიც პარლამენტარიზმის აკვნად ითვლება. უნდა ითქვას იმავე დროს, რომ სწორეთ ინგლისში კლასობრივი განხეთქილება უმაღლეს ფორმებს იღებს. სხვა არ იყოს რა, მარტო უმუშევრობის საკითხი დაწარმოება-აღებშიცემობის უაღრესი დეპრესია ბუნებრივის აუცილებლობით აყენებს თვით რეჟიმის გარდაქმნის კითხვას.

მაშასადამე, მაკდონალდის კაბინეტის დაცემა უბრალო ანარქული უნდა ყოფილიყო ამ გამწვავებულ ატმოსფერისა, შეიძლება იგი კიდევ მოხდეს,

ესთქვათ, ამ სტრიქონების მკითხველამდე მიღწევამდის, მაგრამ განა ამით ამოწლით ისტორიიდან ორი წლის ხელისუფლებას? არა, რასაკვირველია.

რაშია საიდუმლოება, სადაა ის თილისმა, რომელმაც ეს შესაძლებელი გახადა? მაკდონალდის მთავრობა იყო, მართალია, სოციალისტური, მაგრამ ეროვნულიც იმავე დროს—აი ამოცანის გასახსნელი კლიტე. ვერც ერთ სერიოზულ ჯენტლმენს, რომელიც დღემუდამ მაკდონალდის მთავრობის სოციალიზმს ებრძვის, ვერ ათქმევიანებთ, რომ ის ანტი-ეროვნულია,—და ამის საბუთი მართლაც არ მიუცია მას არავისთვის. პირიქით, როცა ტრავისტების მარცხენა ფრთა, მექსტონის მეთაურობით, რომელიც ლიდერიცაა «დამოუკიდებელ მუშათა პარტიისა», ზურგიდან ესხმოდა თავისავე მთავრობას, მაკდონალდმა, მასზე ადრე სწოუდენმა, არ დააყოვნეს მთლათ გამოსულიყვენ ამ პარტიიდან, და ისინი ხომ, კვირ პარდის შემდეგ, თვითონვე იყვნენ მისი მთავარი სვეტები!

რა მტკიცდება ამით? ისა რომ, როცა კითხვა ისმის ერი თუ პარტია, ისინი უპირატესობას აძლევენ ერს და არა პარტიას. ამით იმის თქმა კი არ გვიინდა, თითქო პარტია უთუთო უნდა დაუპირდაპირდეს სახელმწიფოს; პირიქით, ინგლისის მრავალმილიონიან მუშათა პარტიას რომ ასეთი პოზიცია სქეროდა, რა თქმა უნდა, არც მაკდონალდის მთავრობა იარსებებდა, ხოლო «დამოუკიდებელთა» პარტია თავისი 40-50 ათასი წევრით წვეთია პირველთან შედარებით.

ამ რიგათ, საშინაო პოლიტიკაში უაღრესათ და-

პირისპირებული პარტიები და მათი ლიდერები, საგარეო პოლიტიკაში ერთად არიან, ატარებენ ერთსა და იმავე ხაზს, ემოციურებიან ერთად, ემტერებიან ერთად იმპერიის გადაღმა მდებარე ქვეყნებსა და სახელმწიფოებს. ერთი უძველესი ანდაზა აქვთ ინგლისელებს: შეიძლება ინგლისი მტყუანია, მაგრამ ის ხომ ჩემი ქვეყანაა. მაშასადამე, მტყუანიც რომ იყოს ინგლისი, მე მაინც ვიცავ მას გარეთ—აი რას ამბობენ მაკდონალდი, ბოლდვინი და ლოიდ ჯორჯი. არის ეს თუ არა ეროვნულ თავმოყვარეობის ჩიხზე მიბჯენა? არის, რა თქმა უნდა, და ინგლისიც ტრადიციულად თავს არიდებს ასეთ უკიდურესობას.

აი, მკერმეტყველი მაგალითიც. დიდი ომის წინ ინგლისი გაიძახდა, ჩემი ფლოტი ორი უძლიერეს ფლოტის უფრო ძლიერი უნდა იყოს. ძალთა ახალი განაწილება ამის უფლებას არ აძლევდა. უეჭველად, ინგლისს. რა ჰქნა მაკდონალდმა შარშან? შეუთანხმდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და იაპონიას, და ისიც ისე, რომ არამც თუ ორზე, ერთ ფლოტზე უძლიერესობაც კი დასთმო—ინგლისი და ამერიკა სრულ თანასწორობის ნიადაგზე დადგენ.

დარჩა იტალია და საფრანგეთი, რომელნიც ვერ შეთანხმდნენ და ამ მიზეზით პირველი სამის შეთანხმებაც პრობლემატიური ხდებოდა. ესლა ეს საშიშროება გაჰქრა რომის საზღვაო შეთანხმების მეოხებით, რომელსაც იწონებენ ამერიკა და იაპონიაც.

მეორე მაგალითი. ბრძოლა ინგლისა და ინდოეთ შორის შეჩერდა, ხელი მოაწერეს კომპრომისს, ერთის მხრით, ინგლისის მეფის და ინდოეთის იმპერატორის მოადგილემ ლორდ ირეინმა და, მეორეს მხრით, ინდოეთის «წმინდანმა» მაჰატმა განდიმ. და მერე რა ბრძოლა, რა ომი იყო ამ ორი ქვეყნის შორის! რამდენი მსხვერპლი შეიწირა მან, რამდენი სისხლი დაიღვარა! ერთში იქნება მართალია პირში ჩალა გამოვლენებული მოსკოვი: ვანდის მიერ გამოწვეულმა ქვესკნელის ძალებმა გადააბიჯეს თვით ავტორს, და ვეება ინდოეთი ანარქიის პირას იდგა—უნოყიერესი ნიადაგი ბოლშევიკურ ღვარძლის აღმოსაგებლად.

ესეც ლონდონის «რევალი მაგიდის» კონფერენციის ნაყოფია, სადაც ინგლისის და ინდოეთის დელეგატებმა ძირითად შეთინხმებას მიაღწიეს: ინდოეთი უნდა იქცეს უდიდეს ფედერაციად საქუთარის საკავშირო პარლამენტით და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობით. მხოლოდ ლონდონში დაიჯერეს ინდოელებმა, რომ ინგლისი, ეს «ცბიერი ალბიონი», არ ატყუებდა მათ, სერიოზულად ელაპარაკებოდა თანასწორი თანასწორთ. ამას მოჰყვა დელეგატების ზეიმით დაბრუნება, აქეთ კი ფსტვენით გამოისტუმრეს ისინი ინდოეთიდან! განდის და მის მიმდევართა განთავისუფლება, კონფისკაციით წართმეულ ქონების დაბრუნება, მეორე კონფერენციის დანიშვნა თვით განდის მონაწილეობით...

ინგლისის თვითა პალატა ოვაციებით შეხვდა მაკდონალდის მთავრობას ამ ორი დიდი გამარჯვე-

ბისთვის, თუმცა არსებითად ორივე დათმობა იყო ინგლისის მხრით! ბოლდვინი და ლოიდ ჯორჯი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქათინაურებში მთავრობის მიმართ, ჩერჩილის თავდასხმამ მხოლოდ ხაზი გაუსვა ამ ეროვნულ სოლიდარობას.

მაგრამ აქედან ჩვენთვისაც, მთელი ევროპისთვის, მნიშვნელოვან შედეგებს უნდა გამოველოდეთ. ჩვენ გვითქვამს სხვა დროს აქვე, რომ ინგლისი თანდათან შორდება ევროპას და ოკეანებზე გადააქვს თავისი აქტივობის სიმძიმის ცენტრითქო. ბოლდვინ-ჩემბერლენის მთავრობის დაცემის ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, თუ გნებავთ, რომ მან ვერ შესძლო ამერიკასთან შეთანხმება, და შეტაკება მათ შორის, თუ აუცილებელი არაა, შესაძლებელიაა, ამბობდნენ ლონდონში. ამიტომ, აიღო თუ არა ხელისუფლება, მაკდონალდმა მაშინვე ამერიკისაკენ იბრუნა პირი და არაჩვეულებრივ საშუალებასაც კი მიმართა. როგორცაა პრემიერის ვაშინგტონში გამგზავრება და პრეზიდენტ ჰუვერთან ორი კვირის თათბირი. შედეგი: საზღვაო კონფერენცია შარშან. რომის შეთანხმება წრეულს.

როგორი იყო ამ დროს ევროპაში მდგომარეობა? ძლიერ დამაფიქრებელი, მეტი რომ არა ვსთქვათ, წლის ბოლოს მოსალოდნელ ომენდაც ლაპარაკობდნენ! გაიხსენეთ ინგლისის როლი, იგი იყო ან პასიური, ან კიდევ უარყოფითი. მაკდონალდის მთავრობამ არ მოისურვა იტალია-საფრანგეთის დავაში მეგობრული ჩარევა; ენენვაში მხარი დაუჭირა მოსკოვის მოწვევას ევროპის გამაერთიანებელ თათბირზე და ხელი შეუწყო მოსკოვ-ბერლინ-რომის კოალიციის აჩრდილს; სისტემატიურად ხელს უშლიდა რაიმე საერთაშორისო გეგმას მოსკოვის დამპინგის და ამრღვევ მუშაობის წინააღმდეგ, ვინ აღადგინა მასთან დიპლ. დამოკიდებულება და ასწია მისი პრესტიჟი?

ინგლისის საგარეო და საზღვაო მინისტრების მოულოდნელი ვიზიტი პარიზსა და რომში, გასულ თვეს, ნათლად ამტკიცებს, რომ ინგლისი ისევ ბრუნდება ევროპაში. ისინი განმარტავდნენ თემთა პალატაში, თუ არა ჩვენი უშუალო ჩარევა, საშიშ კონფლიქტის წინ ვიდექითო; ესლა კი—დასძენდნენ—რომის შეთანხმების მეოხებით განიარაღების კონფერენციის გზაც გააფუთლიაო. ენენვაში სხვა საკითხებიც უცდის თავის ჯერს, მარტო ევროპის ფედერაცია რათა ღირს!

ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც არ იამება ინგლისის ეს ახალი გეზი, საბჭოთა კავშირია, რა თქმა უნდა. მოსკოვი თვითონა სუამს საერთაშორისო წეს-რიგში თავის კითხვას: მისი ხუთწლედი და დამპინგი ამის უტყუარი თავდებია. მართალია, უფსკრულის წინ ის ლამობს გერმანიის გამაშნაგებას, მაგრამ საეჭვოა არსებით რაიმეს მიაღწიოს. სამთა კოალიციის აჩრდილი ჯერ რომში გაჰქრა, ესლა ბერლინშიაც გაჰქრება,—და ამის თავდები კი ინგლისის ევროპის ფერხულში ჩაბმაა.



ს ს ა ტ უ რ ა ს ა ნ ბ ა რ ი შ ი

ქართველმა ბოლშევიკებმა მოსკოვის მიერ საქართველოს დაპყრობის 10 წლის თავი იდღესასწაულებს და როგორც საზოგადოთ სჩვევიათ, თავის «მოღვაწეობას» საერთო ჯამი გაუკეთეს. მაგრამ მათ «ჩიოქში ჩაადგეს» არა ყოველივე ის, რაც მათმა 10 წლის ბატონობამ ქართველ ერს მოუტანა, არამედ მხოლოდ ის, რაც მოსკოველი ნოქრების დავთარის შემოსავალს გაზარდა.

ბოლშევიკებმა ცნობილი მიკიტნებ ასატურასა და ვართანასავით, რომლებმაც საწყალ გლეხს ისეთი ანგარიში წარუდგინეს, რომ უკანასკნელი პურის საყიდელი გროზებიც კი ამოაცალეს ჯიბიდან. კალამი აიღეს ხელში, სალოკი თითი გააქანგამოქანეს და «ჩიოქში ჩაადგეს» ყოველივე ის, რაც ამ 10 წლის განმავლობაში «ააშენეს» და რასაც მომავალში «ააშენებენ».

ერთი სიტყვით, ქართველ ხალხს უჩვენეს თავისი დავთარის დებუტი, ხოლო ანგარიშის იმ ნაწილზე რომელიც ქართველი ერისთვის პასივს შეადგენს და მოსკოვისთვის კი აქტივს, არაფერი სთქვეს.

ბოლშევიკებმა ჯამი არ გაუკეთეს იმას, თუ 10 წლის განმავლობაში რა გაიტანა მოსკოვმა საქართველოდან. მათ ანგარიშში არაფერი სთქვეს იმის შესახებ, თუ რამდენს იღებს მოსკოვი ყოველ წლიურათ იმ ექსპლოატაციით, რომელსაც იგი ეწევა საქართველოში მარგანცის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის, ბამბისა და სხვა ასეთების სახით.

ბოლშევიკმა ეკონომისტებმა არ უთხრეს ქართველ გლეხს, რამდენი მილიონი ოქროს მანეთის სიმდიდრე წაიღეს მისგან «თავბრუნდამხვევი კოლექტივიზაციის» დროს. მართალია ისინი სწერდენ, რომ დამკვრელმა ბრიგადებმა გლეხებს ღორი, ქათამი და კვერცხებიც კი წაართვესო, მაგრამ მიუხედავად ამისა, წართმეულ-განაძარცვს საერთო ჯამი მაინც არ გაუკეთეს.

გასაკვირელი ამბავია, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. ბოლშევიკებს სტატისტიკა და ანკეტა საერთოთ ძლიერ უყვართ. ისინი იმასაც კი ანგარიშობენ ხოლმე, ტყეში კურდღელი რამდენ ბაჭიას დასვამს და ჩიტი რამდენ კვერცხს დასდებს. უკანასკნელათ მოსკოვმა ისიც კი გამოიანგარიშა (სისწორით თუ არა, სხვა კითხვაა), საბჭოთა რომელ რესპუბლიკაში, ან ოლქში, რამდენი ძაღლია და რამდენი უნდა გაეგზავნოს იქიდან მოსკოვს. და რა დიდი საქმე იქნებოდა გაცეცა იმავე მოსკოვს ვანკარგულება, რათა ეანგარიშათ ის, თუ მისი ბრძანებით რამდენი ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ღორი, ქათამი და სხვა ასეთები წაართვეს ქართველ გლეხს კომუნისტებმა და რამდენ ქალს ახადეს ძალით ნაშუსი.

საბჭოური ხელისუფლებით «გაბედნიერებული» ქართველი ერის სოციალური დაცვის ინტერესები მოითხოვენ, რათა იცოდეს მანაც და სხვამაც, რომ ციფრებით აღნიშნული იყოს, რამდენია დღეს საქართველოში: მშვიერი და მწყურვალი, შიშველი და ტიტველი, დავრდომილი და მტირალი. ყველა კუ-

ლტურული ერთი დღეს ასეთ ანგარიშს აწარმოებს. ჩემის აზრით, ბოლშევიკების 10 წლის «მუშაობის» დასაფასებლათ საჭირო იყო ანგარიშში სისწორით აენიშნათ აგრეთვე ისიც, თუ ამ დროის განმავლობაში რამდენი ათასი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი დახვრიტეს და რამდენი ზის დღეს ჩეკის სარდაფში, ციხეში და ციმბირში.

მართალია, მოსკოვმა ყოველივე ეს დაწვრილებით იცის, მაგრამ არც ქართველი ერისთვის იქნებოდა ზედმეტი ციფრებით სცოდნოდა მას, თუ როგორი მიღწევები აქვთ ამ მხრით ბოლშევიკებს.

აი ასეთი ანგარიში იქნებოდა სრული და ყოველმხრივი, თორემ ტრახახი მით, რომ კერძო სექტორი გავანადგურეთ და მის მაგიერ მუშკოპი შევქენით, ისეთი მუშკოპი, რომელიც 11 ათასს ქართოფილს თესავს და 9 ათასი მოყავს, დიდი ვერაფერი ბედნაა.

ბიბლიური ბაბილონის გოდოლის მშენებელთაც ეგონათ, რომ «ჯერ არ ნახულს გრანდიოზულ რასმეს აშენებდენ», მაგრამ ბოლოს მისგან რა გამოვიდა, ეს ყველამ ვიცით.

მე ვფიქრობ და ამაში ბოლშევიკიც უნდა დამეთანხმოს, რომ იუბილეს საფასებით დასასურათებლათ საჭირო იყო აგრეთვე ორიოდე სიტყვა ერთ-ქვათ «მულავერის მთავრობის შესახებაც. რათ უნდა დაავიწყონ ქართველ ერს მათი სახელი, რომელთა დახმარებით ამ 10 წლის წინეთ მოსკოვმა იგი «გააბედნიერა»? რათ არ უნდა იცოდეს ქართველმა ერმა რით და როგორ დააჯილდოვა მულავერის გმირები მოსკოვმა!

წინეთ მეფის მთავრობა ქართველი ერის მოღალატეებს ჩინ-ორდენებს არ აკლებდა. კრემლის დიქტატორებმა ამ ხაზით მათ იმედები არ გაუმართლეს, ჯილდო სასჯელით შესცვალესო. ასე ამბობენ.

მეც, როგორც ვეროპაშია მიღებული, ავიღე ფანქარი და ქაღალდი ხელში და ვიანგარიშე მულავერის მთავრობის შემოსავალ-გასავალი და მივიღე შემდეგი სურათი:

პირველი ხანის საბჭოური საქართველოს მთავრობის ორი თავმჯდომარე—ბუღუ მდივანი და სერ. ქავთარაძე რამდენიმე წელიწადია ხან «საპატიო გადასახლებაში» არიან და ხან ციხეში ზიან, ხოლო ეხლა აშკარა გადასახლებაში იმყოფებიან.

სოც-უნრუნველყოფის სახალხო კომისარი მიწა ოკუპავა, მის შემდეგ რა რომ კანკანმა მისი ლანძღვით გული მოიჯერა, თურქესტანის მხარეში გადასახლეს და ამ ქამათ ნერვიულ ავთმყოფობას განიცდის.

შინაგან საქმეთა პირველი სახ. კომისარ ბესო კვირკველიას მოსკოვში «ჩინოვნიკობა» მისცეს, მაგრამ მგონი ეხლა ამისგანაც გაანთავისუფლეს.

ფინანსთა სახ. კომისარს სვანიძეს მოყვრობამ უშველა და ბერლინში «საპატიო გადასახლებაში» იმყოფება.

შრომის ხარ. კომისარი მუშა ლადო დუმბაძე დიდხანს იდგა უარზე, ჩემით გადასახლებაში არ წა-

ვალა და ბოლოს მოსკოვმა თხოვნა აუსრულა და სანაზინო ხარჯით გაგზავნა ციმბირში.

მუშგლენინის სახ. კომისარი ნახარტიანი პირველათ ვითომ დააწინაურეს, ამ. კავკასიის დიქტატურის მონაწილე გახადეს, მაგრამ ორპირობამ საბოლოოთ არც მას უშველა და სადღაც პროვინციაში მოხელეთ გადაადგეს.

სამხედრო სახ. კომისარმა შალვა ელიავამ წარჩინება მიიღო, ამ. კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე იყო და ეგონა «თავი ქუდში მაქვს», მაგრამ სწორეთ უშლავერის 10 წლის თავზე კუკუ ამოკრეს. გაზეთები მის შესახებ ხუმრობით სწერენ—ბალეტის კომისრათ ნიშნავენ. ვინ იცის, შეიძლება კომისრობა კი არა, თეატრის კარის კაცობა გაუხდეს სანატრელათ.

მიწათ მოქმედების სახ. კომისარი საშა გეგეჭკორი, როცა თავისი უბედურება დინახა, ჯერ დამუქრა—წითელი არმიის საქართველოში მოსაყვანათ ცალი ფენი დაეკარგე და მის გასაყვანათ მეორე ფენს დაეკარგა. ანგარიშში მოსტყუვდა, მოყვანა ადვილი იყო, გაყვანა კი ძნელი შეიქნა. ამაშიდაც თვითონ დარწმუნდა და ბრძოლა მორჩილებაში გასცვალა. არც ამან უშველა და მოსკოვის მუდამ ჩაფრათ ყოფნას, სიკვდილი ამჯობინა და შუბლში ტყვია ირტყა. რასაკვირელია ამ მხრით მან მეტი გმირობა გამოიჩინა, ვინემ იმათმა, რომლებიც მოსკოვის ჩაფრობითაც კმაყოფილნი არიან.

საქართველოს ჩეკის პირველმა თავმჯდომარემ კოტე ცინცაძემ ფარხმალი არ დაყარა, სერგო და

კობაც კაი მაგრათ და შესაფერისათ გამოლანდლა, მაგრამ წამსდარ საქმეს მინც ვერაფერი უშველა და ჭლექით დაავადებულმა შორეულ გადასახლებაში დალია სული რამდენიმე თვის წინეთ. მისმა ქართველმა ამხანაგებმა მოსკოვის შიშით კოტეს გლოვაც ვერ გაბედეს. ძველი მეტროლი ბოლშევიკის დაფასებაც ასეთი უნდა! კოტეს ბედმა მწარეთ დასცინა და ძლიერ მალე აუნდა განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძის წინასწარმეტყველობა—ამ სარდაფებში თქვენც მალე ჩაქსვამენო.

ვილა დარჩა შულავერის რეველომინ?

სულ 3-4 კაცი: მახარაძე და ცხაკაია, ორანგელა-შვილი და თოდრია. ისინი ვითომ არსებობენ, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას! მოსკოვი «პეტრუშკას-ვით» მათ ხან მალა ასწევს ხოლმე და ხან დაბლა ჩამოსწევს. დიდი დღე არც მათ უწერიათ. ფონი გასავალს არის.

ასე რომ საერთო ჯამში, შულავერის რეველომი, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ—ვირის მომდენი შეიქმნა.

ტყვილათ კი არ უთქვამს ქართველ პოეტს: «თვის ტომის მოლაღატესა, ქირი მიუვა კარზედა»-ო.

ეს ჩვენმა ერმა ისტორიული გამოცდილებით იცის.

აი ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება და მას ბოლშევიკური ასატურას ანგარიში ვერ დამალავს.

კ-ო.

10 მარტი, 1931 წ.

### 14 რუსს მენშევიკის პროცესის გამო

მოსკოვში გათამაშებული ტრალი-კომედია დასრულდა. «პროლეტარულმა სასამართლომ» ლმობიერების დემონსტრაცია გააკეთა და რევოლიუციის წინაშე უდიდეს «ლაღატის» ჩამდენთ რამდენიმე წლის ციხე მიუსაჯა. ფარდა დაეშვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კულისებში სტალინის «სულგძელობა» კიდევ უფრო შორს წავა და საბრალო გრომანს მისი ამხანაგებითურთ ტანჯული სული საბჭოთა ციხეებში არ ამოხდებათ. ხელი ხელს ბანსო, იტყვიან, და თუ რუსეთის დიქტატორი ამ შემთხვევაში მინც უღალატებს თავის ჩვეულებას და «დამანავეთ» დაპირებას შეუსრულებს, ჩვენ აბა რა უნდა გვექნეს ამის საწინააღმდეგო.

ჩვენ, ქართველ-მებრძოლთ, ეს პროცესი ახალს არაფერს არ გვასწავლის. ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს ვერც ბრალმდებელთა უსაზღვრო ცინიზმი, ვერც ბრალდებულთა განუხომელი ცდა და ენერჯია, თავი დამანავეთ ეცნოთ. ორივე ეს მოვლენა ერთი და იმავე კატეგორიისაა. ორსავე მათ ერთი და იგივე დასაბამი აქვთ. მათი წყარო მოსკოვის დღევანდელი რეჟიმიია. «კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების»-ო, პოეტი რომ იტყვის, სწორედ ზედ ამანება გამოჭრილი. აბა სხვა რა უნდა «წარმოდინდეს» იმ რეჟიმინდან, რომელმაც უმვირფასესი იდეალები გააბინძურა და ადამიანთა ურთიერთობის უმაღლესი ღირებულებათ

მორალი ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნებათ მონათლა.

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში იცის მძიმე ეტაპები. გზა მისი წინმსვლელობისა ეკლიანია. ტანჯვითა და ვაგბით იკაფებოდა ეს გზა. შორს რომ არ შევეტოპოთ, განა მართო ინკვიზიციის ხანა და კუდიანთა პროცესები არ კმარა, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა განვლილ გზაზე? მაგრამ რა არის ინკვიზიცია და მისი საშინელებანი გეპეუს შემოქმედებასთან. მართალია ერთიც და მეორეც ადამიანის პიროვნებას ედავება, მის გონების და სულის თავისუფლებას; ერთიც და მეორეც მიზნათ ისახავს, რომ შებოროკოს და დაიმორჩილოს პიროვნება, არარაობათ ექციოს იგი და თავისი ბნელ მისწრაფებათა ბრმა იარაღათ განადოს. ობიექტი ერთია, მიხწევანი კი შეუდარებელი. საშვალო საუკუნეთა წყვიდადშიაც კი ბნელი ძალები ვერ ახწევენ სტალინის მწვერვალებს: ადამიანის სულის მთლიანად ჩაკვლას და მის ცოცხალ ლეშათ გადაქცევას.

14 მენშევიკის პროცესი ამის შესანიშნავი მაგალითია. თუ გნებავთ, ამ მხრივ ეს პროცესი მართლდაც რომ მაჩვენებელი პროცესია. როდესაც გრომანი, ერთ დროს ცნობილი რევოლიუციონერი, გულზე ხელის რტყმით ირწმუნება, რომ იგი დანის და აბრამოვიჩის საშვალეებით იღებდა ფულს და დირე-



ქტივებს ინტერვენციის მოსაწყობათ; როცა იგი ინტერვენტთა კამპანიაში ათავსებს კაუტკის, გილფერდინგს, ბლიუმს, პუანკარეს და ვინ იცის კიდევ ვის; როცა იგი წარბ-შუღრელთა ამტკიცებს, რომ ივლინის 1929 თავის თვლებით ნახა აბრამოვიჩი სარეგულიაციო მიზნებით მოსკოვში ჩამოსული,—ჩვენ ეს საბუთი კი არ გვაფოთებს. არამედ იწვევს ჩვენ უღრმეს სიბრალულს ამ ადამიანისადმი, რომლიდან ძირიან ფესვიანათ ამოუგლეჯიათ სული...

ყველაზე უფრო კურონული აქ დან-აბრამოვიჩის როლია. ინტერვენცია და დანი! რევოლუციონური ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ და აბრამოვიჩი! მაშინ როდესაც ეს ორი პატივცემული ლიდერი რუსეთის მენშევიზმისა მფარველ-ანგვლოზათ დასტრიალებდნენ ბოლშევიკურ «რევოლუციას» თავზე და ყოველივე აქტივობა ბოლშევიკურ რეჟიმის წინააღმდეგ კონტრეგოლიუციით ქონდათ გამოცხადებული. ჩვენ მეტს ვიტყვით: თუ მოსკოვს ევროპაში პოზიციები აქვს მე-2 ინტერნაციონალში თუ სხვაგან, ეს ბევრათ დან-აბრამოვიჩის დამსახურებაა და ესლა მათი ინტერვენციის მედროშეთ გამოყვანა, ეს ცინიკური დაცინვა არა მარტო მენშევიკების ეხლადებზე, არამედ მეორე ინტერნაციონალზე და ევროპის საზოგადოებრივ აზრზე. სტალინს ეს გაუდის და ამას ის სჩადის. სჩადის დაუბრუნებლათ, ცინიკურათ, სტალინისებურათ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ ის კი არ გვაკვირვებს, რომ ლენინის ექსპერიმენტი განვითარების პროცესში გადაიშალა სოციალურ და პოლიტიკურ მონობაში და მორალურ გათახსირებაში. ჩვენ ის გვაკვირვებს, რომ ევროპის დემოკრატიული და სოციალისტური წრეების დღემდინ ვერ ჩაწვდნენ ბოლშევიკთ ბუნებას; თუ პირველ ხანებში მისი გამოცნობა მართლდაც ძნელი იყო და ამიტომ შეცდომებიც

ბუნებრივი, დღეს ხომ მისი რეაქციონური სული უდარამ უნდა იყოს? გრომან-სუხანოვიჩები რომ რუსეთში მასიური მოვლენა შეიქნა, განა ამაში ბრალი არ უდევთ იმათ, ვინც ბოლშევიკურ ვაკანალიას «მაინც რევოლუციით» აცხადებს? ასეთი შეხედულების გამეფება ხომ იგივე მორალური ტერორია, რომელიც ერთის მხრით ბორკავს ანტიბოლშევიკურ ელემენტებს და მეორე მხრივ ფრთებს ასხამს ბოლშევიკურ ტირანიას!

ორში ერთი, ან მართლდაც მოსკოვი კერაა რევოლუციის და კაცობრიობის სრული გარდაქმნა ლენინის გზით უნდა მოხდეს, ან ის ბუდეა უსაზინელისი სოციალური და პოლიტიკური რეაქციის. Tirtium non datur. ეს ორი მდგომარეობა შეურიგებელია. ვინც შეურიგებელის შერიგებას მოინდომებს, ის საქმეს გაუსწორებელ ზიანს აყენებს და თავის თავსაც სასაცილო მდგომარეობაში აგდებს. თუ მოსკოვი საერთაშორისო რევოლუციის ავანგარდია, ვინც იმავე მიზანს ემსახურება, ჭირში და ლხინში მასთან უნდა იყოს. ტერორი და გრომან-რამზინის პროცესები ეს დეტალია, რომელთაც დიად მიზანთან შედარებით მნიშვნელობა ეკარგება.

მეორე შემთხვევაში კი მოსკოვს უნდა ებრძოლო ყოველივე საშვალეობით. ამ უკანასკნელის შერჩევა უნდა ხდებოდეს დრო და გარემოების მიხედვით. ეს მიზანშეწონილების საკითხია. არც მეტი და არც ნაკლები.

თორემ ფარატინა ქალაქზე დაწერილი პროტესტი, ნოტარიუსთან დამოწმებული ჩვენებანი, ან საგანთო ისტერიული წერილები ამ ცინიკებში მხოლოდ ღიმილს იწვევს. მოსკოვის გამგენი რეალისტური ხალხია: მათ კარგათ იციან, რომ ბრძოლაში საკითხს მხოლოდ რეალური ძალა სწყვეტს.

მ. ბ.

### მ ვ ე მ ა ნ ა რ ო მ ე ლ ს ა ც ს ე ს ე რ ე კ ა ე წ ო ღ ე ბ ა

(საქართველოდან ასლად ჩამოხულის ნაამბობი)

მასების კონტროლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინათ ჰქონდა მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ფუნქციები. მუშ. გლეხ. ინსპექცია დღეს გეპუეს ორგანოა.

მასების კონტროლის მთავარი იარაღი «მსუბუქი კავალერიაა», რომლის რიგებში განსაკუთრებით ჯაშუშებია. ჯაშუშობამ იქამდე მიაღწია, რომ მას არც მეურნეობის ეკონომიური აღორძინება და არც ხელისუფლების განმტკიცების მოტივები ასულდგმულებს. ჯაშუშები ჯაშუშობენ ფიზიკურ არსებობის შესანარჩუნებლათ, რომ სამუშაოდან არ იქნან მოხსნილნი. გახრწის მიზნებათ უნდა ჩაითვალოს რაციონალიზაცია ჩატარება და აუარება უმუშევრობა. ჯაშუშები არა მარტო პაიკებზე, სპეცებზე, არამედ კომუნისტებზედაც არის დანიშნული, ზნედაცემულ უპარტიო მუშა-მოსამსახურეების რიგებიდან. მსუბუქი კავალერიის კვლევის ობიექტს შეადგენს: თუ ვინ არ დაესწრო საერთო კრებას, არ გამოცხადდა დემონსტრაციაზე, არ ლებულობს აქტი-

ობას ადგილკომის ან ღია კომუჯრედის სხდომებზე, ვინ დაიგვიანა სამუშაოზე ან ადრე დასტოვა ის, თუნდაც ამგვარ მოვლენებს საპატიო მიზეზები ჰქონდეს.

სოციალისტური შეჯიბრი.

გადახრები, უიმედობა და გულგატეხილობა სასოწარკეთილობამდე მივიდა. ამგვარ დაავადებებს ჰქონდა ადგილზე კომპარტიის რიგებში, სახელმწიფო და პროფესიონალურ დაწესებულებებში. ამ სენით დაავადებულები აქტიურათ ვერ ბედავდნენ გამოსვლას დაშტამბული გენერალური ხაზის წინააღმდეგ. დაავადებულები მიმართავდნენ ლოთობას და გარყვნილებას, რომელიც უქადდა მეურნეობას და ხელისუფლებას სიკვდილს. დაეცა პარტიაში დისციპლინა, მინიმუმამდე დავიდა შრომის ნაყოფიერება. ამ შემთხვევაში კატასტროფა შეანელა ახალმა მოდამ—სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის არსი შემდეგია: იდება ხელშეკრულება ერთ ქარხა-

ნას და მეორეს შორის, სდგება საწარმოვო-საფინანსო გეგმა და ხელშეკრულებაში აღნიშნულ დროისთვის აუცილებლათ უნდა იქნას გადალახული ესა თუ ის სიძნელე: ბრაკის შემცირება, ლოთობის მოსპობა, შრომის ნაყოფიერების აწევა. შეჯიბრის გარანტიით შემოღებულ იქნა შავი დაფა. პირი, რომელიც მოხვდება სამჯერ ამ დაფაზე, მექანიკურათ ითხოვდება სამუშაოდან. პირველ ხანებში შეჯიბრი კოლექტიური გამოწვევით ხებოდა: მოსკოვის დეპოტში გამოიწვია თფილისის დეპოტ, ხელშეკრულების დასაღებათ მოსკოვიდან ჩამოვიდა 60 კვალიფიციური მუშა, რომლებმაც ტფილისში დაჰყვეს სამი თვე, ხელშეკრულება იღებოდა ყოველ ცენტან და განყოფილებებთან. შემდეგ ტფილისის დეპოტს 60 მუშა გაემგზავრა მოსკოვში კონტრხელშეკრულების დასაღებად და საბოლოოთ ხელის მოსაწერათ, სადაც მათ დაჰყვეს სამი თვე. ამდენმა კვალიფიციურმა მუშამ ექვსი თვე მოანდომა უნაყოფო შრომას—ხელშეკრულების დაღებას, რომლის მოქმედება ერთი წლით იყო განსაზღვრული. შემდეგში შეჯიბრი ინდივიდუალური გამოწვევით ხებოდა, შეჯიბრი ერთ მუშასა და მეორეს შორის. ინდივიდუალური შეჯიბრის პრაქტიკა არ ღებულობს მხედველობაში სუბიექტის უნარიანობას, ენერჯიას, ოსტატობას და ასეთ პირობებში სუსტი იჩაგრება და ბოლოს, რომ გორც ხელშეკრულების დამრღვევი რჩება ულუკმა პუროთ—ითხოვება სამუშაოდან. უკანასკნელ ხანებში შეჯიბრმა ეპიდემიური ხასიათ მიიღო: შეჯიბრი მასწავლებელს და მოწაფეს შორის, შეჯიბრი მშობლებსა და ბავშვებს შორის და სხ.

მუშები და მოსამსახურეები.

დაკვირვების ობიექტი კომუნისტი მუშებია. არაკომუნისტები ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ, თუ მხედველობიდან გამოუშვებთ მსუბუქი კავალერიის მუშებს.

«მართალია დღეს ჩვენ უფლება გვაქვს ლაპარაკის «კრიტ ტოვო ი დრუგოვო» (ფაბრიკა-ქარხნის მუშებს, რატომღაც რუსულათ უფრო ეხერხებათ გამოთქმა), მაგრამ ჩვენი ხელფასი რეალურათ ძველათ უფრო მეტი იყო», ამბობენ მუშები—მათში ვერიენ ისეთებიც, რომლებიც ბაქას სამრეწველოში მუშაობდენ ომამდე: «წინათ ჩვენ თვეში 60-80 მან. ვაკეთებდით, იმ ფულით თავსაც ვიკვებავდით, კარგათ ვიცვამდით და ოჯახსაც ვეხმარებოდით, დღეს 210 მან. გემდევა, რომლისაგან ყოველთვიურად ქვითავენ: შეწირულებების, სესხების, ხარკების და გადასახადების სახით 30-35 პროც. კერძო სამუშაოს აღება არ შეიძლება, ამისთვის აღარც დრო გრჩება და არც მოიპოვება კერძო სამუშაო. «პოლუჩკის» დროს ხელს ვაწერთ ასებზე, ვიღებთ კი ათებს, რომელიც ოჯახს არაფერს შველის,—მივიღივართ და აშასაც ღვინოში ვხარჯავთ, რომ დავივიწყეთ ერთ წუთს მაინც გამოთვლით მდგომარეობა. მე ღვინო არ მიყვარს, ლოთობისაკენ მიდრეკილია არასოდეს არ მქონია. მაგრამ ამას ჩავდივარ».. «მართალია მუშის ნივთიერი მდგომარეობა ჩვენმა პარტიამ ვერ გააუმჯობესა, პრივილეგიურ მდგომარეობაში ხო

მაინც ვიმყოფებითო, და მე მგონია ვერც ერთი სხვა მთავრობა ამაზედ მეტს ვერ გააკეთებდაო», თავს ინთგეშებს ცეხის გამგე..

მოსამსახურეები გონებრივ სამუშაოზე, გარდა საპასუხისმგებლო, საკომანდო სიმალეებისა, ყველგან უმრავლესობა არაკომუნისტებია. ამას ეკონომიური აზრი და გამართლებაც აქვს. არაკომუნისტები ინტესიურათ მუშაობენ, მუშაობენ არა სინდისის, არამედ შიშის ქვეშ, სამუშაო დღე მუშებისათვის 7 საათია, ხოლო მოსამსახურეებისათვის ექვს ნახევარით განისაღვრება. ეს ნორმა მხოლოდ შრომის კოდექსში არის, ნამდვილათ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულება იღება, რომლის თანახმად სამუშაო დრო განსაზღვრული არ არის, ინდივიდ. ხელშეკრულებით მუშა-მოსამსახურე ნორმაზე არსებულ ტარიფის 5-8 პროც. მეტს ღებულობს და მოსამსახურეებს ყოველგან უხვდებათ მუშაობა დილის პერიოდში 6 ნახევარი საათი, საღამოთი კი 6-10, სწირად თერთმეტამდი და ზოგჯერ კი ღამის ორ საათამდინაც. მსუბუქი კავალერია ცუდათ უტყერის მათ, ვინც საღამოს არ დაიარება სამუშაოთ.

სწირია საერთო კრებები, კომუჯრედის და ადგილკომის სხდომები, კულტ. პოლიტიკური და ეკონომიურ კომისიების სხდომები, რომლის წევრი აუცილებლათ უნდა იყვეს ყოველი თანამშრომელი, საჯარო დემონსტრაციები და სხვადასხვა სააგიტაციო საპროპაგანდო სამუშაოები, რომლებიც ისე მოსაბეზრებელია თავის ერთგვარობით და «დაშტამპული» ხასიათით, რომ არაკომუნისტი მოხამსახურე არჩევს საღამოს სამუშაოზე მისვლას, ვიდრე დაესწროს კრებას. ვინც განაცხადებს განუწყვეტილ მუშაობის თანხმობას, ის თავისუფლდება ზემოხამოთვილ-სააგიტაციო, საპროპაგანდო სამუშაოსაგან.

ყოველ მუშა მოსამსახურეზე შემოღებულია «მუშის წიგნაკი», ეს წიგნაკი იგივეა, რაც ჯარში «პოსლუჟნი სპისოკ». ამ წიგნაკის გარეშე შეუძლებელია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლა ან უმუშევრობის დროს შრომის ბირჟაზე აღრიცხვა. საკმარისია ამ წიგნაკებში მოხვდეს უარყოფითი ცნობები, რომ მუშა-მოსამსახურემ სამუდამოთ დაჰკარგოს იმედი სამუშაოს შოვნისა მთელს საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

კომპარტიის წმენდა.

გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე გამოგზავნილი იყო მოსკოვიდან, ეროვნებით რუსი, რომლის აბსოლუტურ უფლება-მოსილ მხედულებით მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდა კომუნისტურ პარტიის წმენდა. წმენდის საათები იყო დანიშნული სამსახურის გათავისების წამსვე—2 ნახ.—6 საათამდე. არაკომუნისტი მუშა-მოსამსახურეები არჩედენ სადილოს, ამ წმენდაზე დასწრებას. წმენდა ტარდებოდა დაწესებულების კომუჯრედების მასალებით და მისივე ატესტაციის მიხედვით. გასაწმენდი პირი წინასწარ მომზადებული წარუდგებოდა კომისიის მაგიდას და ყველასათვის გასაგონად იწყებდა თავის ბი-



ოგრაფიის მოყოლას. ამას ყოველი მათგანი ისე განვიადებულათ შევებოდა, რომ არ ყოფილა შემთხვევა, თვითვე დაესრულებია. არც ერთ კომედიას არ შეეძლო ამდენი სიცილის და სიამოვნების გამოწვევა მაყურებლებზე. ალბათ ამით უნდა ავსხნათ ის არაჩვეულებრივი მოვლენა, რომ კომისიის მოსვლამდე დარბაზში მუდმე ტევა არ იყო. ავტობიოგრაფიის დასრულების შემდეგ, კომუჯრედი აძლევს გასაწმენდ პირს სათანადო ატესტაციას, თუ რამდენჯერ ჰქონია მას მიღებული განკიცხვა. შემჩნევა, გამოუჩენია თუ არა გულგრილობა, ემხრობოდა თუ არა გადახრებს და სხვა. მერე შეკითხვების უფლება აქვთ კომუნისტებს, შემდეგ კი არაკომუნისტებს. მაგრამ იშვიათად თუ უპარტიო გაბედავდა შეკითხვას, და მით უმეტეს უარყოფითად დახასიათებას.

გამოძახებულ იქნა ქარხნის დირექტორი ნ. მ. ა., ყოფილი ვაჭრის შვილი და თვითნაც ყოფილი ვაჭარი, რომელთაც მსოფლიო ომამდე სავაჭროები და ქონება არა მარტო საქართველოში და რუსეთში ქონდათ, არამედ უცხოეთშიც კი. «ნმა» მსაშუალო სასწავლებელი ტფილისში დაამთავრა, უმაღლესი უნივერსიტეტი. ამჟამად ხანშესულა. მისი შვილები პირველ ცოლიდან უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებენ. ქარხნის ღამაჲ ქალებს წინწაწევა არ შეუძლიათ «ნმას» მეგობრობის გარეშე. ეს კაცი ავტობიოგრაფიას ასე აცნობს კომისიას და საწოგადოებას:

მე «ნმა» ჯერ კიდევ წ წლის ვიყავი, მამამ რომ სახლიდან გამაგდო. მის შემდეგ ვმუშაობდი უფროს ქმის სავაჭროში უბრალო ბიუსის პირობებში, დღეში 10 კაპ.. უსაზღვრო ექსპლუატაციას, ტანჯვას ვერ გაუძელი. როდესაც შემისრულდა 18 წელი, ერთ ავანტიურისტულ ხერხს მივმართე, მოვპარე მამას ფული და გავიპარე შვეიცარიამ, იქ გავიცანი ჩვენი ძველი ბოლშევიკები: ლენინი, კამო და სხვები. ომამდე მათთან ვმუშაობდი, მონაწილეობა მივიღე სხვა დასხვა ტერორისტულ აქტებში. გასაბჭოების შემდეგ ვმუშაობ სამეურნეო დაწესებულებებში. ჩემი ხელმძღვანელობით მუდამ ხეირობდა დაწესებულება-ა.

კომუჯრედი აძლევს მას დადებით ატესტაციას, რის შემდეგ ვერაფერ ბედს ხმის ამოღებას. სქესობრივი ბანდიტი, გამფლანგველი, ლოთი, ხულიგანი რჩება კომპარტიის რიგებში.

შემდეგ გამოძახებული იყო დირექტორის მოადგილე მ. გ.: «მე «მგ» არ ვიცი, სად დავიბადე და ვისი შვილი ვარ. 4 წლის ვიყავი, როდესაც ბუშების სახლიდან გამაგდეს და მის შემდეგ ქუჩის უპატრო-

ნა ბავშვებთან ვიზრდებოდი, ჩემი გზის მაჩვენებელი იყო ძველი ბოლშევიკი და ცნობილი ტერორისტი ჯიბო. მე და ჯიბომ ნაჯახით მოვკალით შავრაზმელი ხაზინადარი. ომის დროს ვმუშაობდი ერთ ერთ შავრაზმელ ვეკილთან მოფერათ და როდესაც ბოლშევიკები უახლოვდებოდნენ კავკასს, გავიტაცე ავტო და წაველი მათ დასახმარებლათო. 1922 წელს ვიყავი დაპატიმრებული და, როგორც ერთგული ჩეკის, განმათავისუფლეს იმავე წელს და დამამტკიცეს პარტი-აში, მის შემდეგ ვმუშაობ შრომის სახ. კომისარიატში და ახლა კი თქვენთან..».

კომუჯრედმა მისცა დამაკმაყოფილებელი ატესტაცია... აუდიტორიიდან დგება უცხო კომუნისტი, რომელიც პირუკულმა ხსნის «მგ»-ს ბიოგრაფიას. მოწინააღმდეგე მოითხოვს გადასინჯული იქნას «მგ»ს ბიოგრაფია, რადგან ის გასაბჭოებაში ნავთლუღის გვარდიელი იყო და იმ დროს მაშინვე ვმუშაობდა ჩვენს ამხანაგებს, ის იყო ერთ ერთი მომქმედი პირი ნავთლუღის ხიდის აფეთქების და როდესაც საქართველოში შემოვიდა წითელი არმია, ის უეცრათ მოექცა კომპარტიის რიგებში და ნავთლუღის საწყობის კომენდანტათ მოგვევლინა. «მგ»ს ომამდე შტრეიკბრეხერათ იცნობდნენ, ის არასდროს არ ყოფილა დაზგის მუშა, მას დღესაც არავითარი ხელობა არა აქვს, გარდა იმისა, რომ მან 1922 წელში გასცა მრავალი სოც. დემოკრატი, ნავთლუღის მუშები მას იცნობდნენ როგორც პროფესიონალ გამცეს. ეს კაცი მუდამ იცვლიდა ფერს და თუ კიდევ პარტიაში დარჩა, ჩვენი უჯრედი მიმართავს საკონტროლო კომისიას. ირკვევა ისიც, რომ «მგ»-სათვის შავრაზმელის მოკვლა პარტიას არ დაუფალებია და გადაცემული ფული პირად სიამოვნებისათვის მოუხმარებია, არც ავტობიოგრაფის გატაცება ჰქონია მას დავალებული, რომელიც «მგ»ს გაუყიდა ყახზევი, რის გამო იმ დროს სასამართლოში ყოფილა მიცემული, როგორც რეცედივისტი. გამწმენდ კომისიამ ყველაფერი მოიხსინა «მგ»ს წმენდა გადაიდო შემდეგ დღისათვის, «მგ» მოიტანა პარტიის საკონტროლო კომისიიდან მოწმობა რეაბილიტაციის, რომლის ძალითაც «მგ» ამოკითხული იქნა პარტიაში დარჩენილთა სიაში.

შედეგი ამ ქარხნის 97 კომუნისტის წმენდის ასეთი იყო: 21-ს ჩამოერთვა პარტიული რეგორც გადახრების მონაწილეთ. 23-ს მიეცა წინადადება, გასწორდნენ გენერალურ ხაზზე. 53 დარჩა პარტიის რიგებში, როგორც ნამდვილი ბოლშევიკები, ას პროცენტური ლენინელები.

1931. თებერვალი.

მ ო ს კ ო ვ ი წ ი ნ ე თ დ ა ე ხ ლ ა

III.

საბჭოური და მოსკოური სახელმწიფოების ნათესაობა კიდევ უფრო წეთელი ხდება, როცა მათ პრაქტიკულ სახელმწიფოებრივ მუშაობას ვადარებთ ერთმანეთს. ყოველდღიური საქმიანობით ისინი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან. მთელი განათლებული კაცობრიობა განცვიფრებაში მოდის

ბოლშევიკების საქმიანობით. ზოგიერთი საბჭოთა კავშირს «გიყების სახლს» უწოდებს და ვერ გაუგია, თუ რატომ მიიღო რუს. რევოლიუციამ ასეთი მძაფრი ხასიათი. საერთოთრევოლიუცია იანგანა არ არის, რომ მისი სიმღერით დატყბეთ, დასიამდეთ და ტყბილათ დაიძინოთ. იგი სასტიკი და შეუბრალებელია და

ხშირად უმიზნოთ ხარჯავს ძალებს და იღებს მსხვერპლსა. ამ მხრით რუსეთის რევოლუციასა და დას. ევროპის რევოლუციებს შორის დიდი განსხვავება არ არსებობს. იგი განირჩევა დასავლეთის რევოლუციებიდან სახელმწიფოებრივი სისტემით, რომელიც მან წარმოიშვა და მეთოდით, რომლითაც ბოლშევიკები თავის იდეის განხორციელებას ცდილობენ. ზომები, რომელსაც ბოლშევიკები მიმართავენ დღეს თავის მიზნების განსახორციელებლათ, იგივეა რომელსაც საუკუნოების განმავლობაში მეფის მთავრობა ხმარობდა.

ბოლშევიკების ლოზუნგმა—«ძარცვეთ ნაძარცი» დასავლეთში გამოძახილი და თანამგრძობა ვერ მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ომმა ხალხის ფართო მასების მატერიალური მდგომარეობა და ზნეობრივი მხარე ძლიერ დააზიანა. რუსეთში კი მასების დიდი უმეტესობა ამ ლოზუნგის გარშემო დაირაზმა, თავის ქვეყანას შეესია და დაუწყო ცარცვა. ეს დღესაც გრძელდება.

შევცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ «ძარცვეთ ნაძარცვის» ლოზუნგი ლენინმა საზღვარგარეთიდან მოიტანა. არა, იგი მან რუსის ხალხის გულის სიღრმიდან ამოიღო, მისი ძალა და მნიშვნელობა იგრძნო და მასების მამოძრავებელ ლოზუნგათ გახდა. ძარცვადენ თავის ქვეყანას არა მარტო ბოლშევიკები, არამედ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე თეთრგვარდიელებიც. დენიკინი თეთრგვარდიელთა ძარცვას გულისტკივლით აღნიშნავს თავის მოგონებაში და სწუხს, რომ ვერ წესძლო მისი აღკვეთა. ვერც შეძლებდა, ვინაიდან საუკუნოებით გამოშუშავებულმა ინსტინქტმა აღვირი წაიხსნა და მისი შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეეძლო. ტყვილათ კი არ უყვარს რუსის ხალხს სიმღერა «ეი და უხნემ», ეს მისი სტიქიაა. ომმა და რევოლუციამ იგი მხოლოდ მოძრაობაში მოიყვანა.

ქვეყნის ძარცვას რუსეთში მუდამ ქონდა ადგილი, ზოგჯერ მთავრობის ხელმძღვანელობით, ზოგჯერ მისი სურვილის წინააღმდეგაც. საკუთრება რუსეთში არასოდეს არ ყოფილა ხელუხლებელი იმ სახით, როგორც ეს ევროპამ იცის. როგორც უკვე ავლიწინეთ, მოსკოვის სახელმწიფოში მთელი ქონება მეფის საკუთრებას წარმოადგენდა. არც ვაჭრობა იყო თავისუფალი. მეფის ვაჭრები ყიდულობდნენ საქონელს მთავრობის მიერ წინასწარ დადგენილი ფასების მიხედვით და აწყობდნენ მას მეფის ბელეგებში და საწყობებში. გაყიდვაც მეფის განკარგულების თანახმად ხდებოდა. არც სავაჭრო ვაჭრობა იყო თავისუფალი. უცხოელებს უნდა მიეყიდათ მთავრობის დაწესებულებებისათვის და უნდა ეყიდათ მისგანვე. რუსი მემატრიანე ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: «1636 წ. პსკოველებს წაართვეს სელის ვაჭრობის უფლება. არ არის ნება ყველამ ივაჭროს და ვაგზავნეს ვაჭარი მოსკოვიდან, რომელსაც ნაბრძანები ქონდა ეყიდა ხელმწიფისათვის იგი მოსკოვის ფასების მიხედვით. ამის გამო დიდი ზარალი მიადგათ ვაჭრებს, მონასტრებს და ყველა ხალხს. ფული პატარა, ფასი არათავისუფალი, ვაჭრობა არანებაყოფლობითი, ყველგან დიდი გლოვა

მტრობა ერთი გამოუთქმელი, მთელი ქვეყანა შეკრული და არავის უფლება არ აქვს, იყიდოს, ან გაყიდოს».

კრემლის მთავრობა, როგორც დღეს, ისე არც მაშინ კმაყოფილდებოდა ფასების განსაზღვრითა და მონოპოლიით. თუ კი სადმე მოიყნოსავდა მსუქან ვაჭარს, ან სხვის სიმდიდრეს. იგი მაშინვე იქ გაჩნდებოდა, ან წაართმევდა ქონებას, ანდა თავის ქონებით მოსკოვში გადასახლებდა. 1484 წ. ივანე მესამემ დაიჭირა ნოვგოროდის ბოიარები და მთელი მათი განძეულობა და სოფლები თავის თავზე გადაიწერა. ოთხი წლის შემდეგ ისევ უბრძანა და ნოვგოროდიდან მოსკოვში მოიყვანეს და დაასახლეს 7 ათასზე მეტი შეძლებული ვაჭარი და მოქალაქე. კიდევ ერთი წლის შემდეგ მისივე ბრძანებით ნოვგოროდიდან მოსკოვში გადმოასახლეს ათასი ოჯახი ბოიარებისა და პირველი გილდის ვაჭრებისა. ასეთივე დღე დაადგა პსკოვისა და სხვა დანარჩენი ქალაქების ვაჭრებსაც.

თვით მოსკოვში კი მთელი ალებ-მიცემობა მეფის ხელში იყო, რომელსაც მეფის მოხელეები და მისი ხელქვეითი ვაჭრები განაგებდნენ. 1701 წ. მარტო ხორცის სავაჭრო სახანონო დარაბების რიცხვი 3 ათასს უდრიდა, სასაკლაოსი—15. იყო კერძო სავაჭროები და სახელოსნოებიც, მაგრამ ვაჭრობა მათში თავისუფალი არ იყო. მეფის მოხელეს შეეძლო, როცა სურდა, დაედვა მათზე თავისი ვეტო და გადაერიცხა ხაზინაზე. იგიო, ამბობს ბუნაკოვი, გვაგონებს ძველი ეგვიპტის გრანდიოზულ სახელმწიფო მეურნეობას და მისი გეგმა და სტილიც წმინდა აღმოსავლეთურიყო. ერთი სიტყვით, ბოლშევიკური გეგმით მეურნეობის და «ვენეტორგის სათავე მოსკოვშია და არა პარიზსა და ბერლინში. მაგრამ დანებდით ამას თავი და დაუბრუნდეთ ისევ ფაქტებს.

IV.

რუსეთის პირველი მეფე იყო ივანე მრისხანე. სიმბოლიურია რუსეთის მთელი ისტორიისათვის ის, რომ მეფობის შემოღებას რუსეთში თან მოყვა ოპრიჩინის დაარსება და თვით მეფემ «მრისხანეს» ზედმეტი სახელი დაიმსახურა. ერთიც და მეორეც მაჩვენებელია იმის, რომ რუსეთში მეფობა მკიდრობით დაკავშირებულია ტირანობასთან და ოპრიჩინასთან, ანუ ეხლანდელი ერთი რომ ვსთქვათ, დიქტატორობასა და ჩეკასთან.

ივანე მრისხანემ ოპრიჩინა დაარსა 1572 წ. რუსი ისტორიკოსები მას სამართლიანად ყანდარმერიის (მესამე განყოფილების) და ჩეკის მამამთავრათ და შეფათ სთვლიან. ივანე მრისხანისა და ოპრიჩინის ისტორია დიდინის ამბავია, მაგრამ ენლაც როცა კითხულობ მათ «მოღვაწეობის» შესახებ, ტანში ქრუანტელი გივილის და თმა ყალყზე გიდგება. ნოვგოროდის დარბევა-აწიოკება, მოსკოვში წარმოებული სიკვდილით დასჯანი, ტახტის მემკვიდრე შვილისა დამიტროპოლიტ ფილიპეს შოკოლა, მოსკოვში და აღექსანდროვის სლაბოდაში ოპრიჩინიკებთან ერთად წარმოებული უმსგავსებანი, სწერს პროფესო-





რი კლიუჩევსკი, გაფიქრებები, რომ მეფე ივანე იყო არა ადამიანი, არამედ მსეცოა.

ივანე მრისხანისა და ოპრიჩინის მსეცობისა ცოცხალ სურათს იძლევა გერმანელი ოპრიჩნიკი გენრის შტადენი თავის მოგონებაში, «ივანე მრისხანეს მოსკოვი», რომელიც 1926 წ. დაიბეჭდა ლენინგრადში. იგი მოსკოვური სახელმწიფოს საუკეთესო დამახასიათებელი დოკუმენტია, მასში საუკეთესოთ არის ასახული, როგორც სახელმწიფოს სისტემა, ისე პიროვნების და საზოგადოების მაშინდელი მდგომარეობა.

თვითონ გენრის შტადენი გერმანელი იყო ვესტფალიიდან. ბავშობიდანვე მოუსვენარი, ავანტურისტი, ჩვენებურათ რომ ვსთქვათ—ავარა. ეშხადებოდა მღვდლათ. მაგრამ 15 წლის მოწაფემ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, სასიკვდილოთ დასჯრა სკოლის ამხანაგი და ამის გამო იძულებული შეიქნა დაეტოვებია სამშობლო. დიდი წვალებისა და ხეტილის შემდეგ (ქურდობა. შავი შეშაობა, დაჭერა) მიადწია ქალ. იურიესს. აქ მან გაიყო მოსკოვის ამბები, მისწერა წერილი ივანე მრისხანეს და შესთავაზა თავისი შრომა. ამ უკანასკნელმა მაშინვე აფრინა მასთან აწაურა კვაშინი, რომელმაც გადასცა: დიდი თავადი მოგცემს ყველაფერს, რასაც კი სთხოვო.

ივანე მრისხანემ თავისი სიტყვა შეასრულა, შტადენი მოსკოვში დიდი კაცი ვახდა და დიდი ქონებაც შეიძინა. «დიდი თავადი ივანე მიცნობდა მე და მე მას ვიცნობდიო», სწერს შტადენი. ნოვგოროდის დარბევის შემდეგ ივანე მრისხანემ უბრძანა—ამ დღიდან შენ ანდრეი ვოლოდიმეროვიჩათ იქნები წოდებულიო. უნდა ითქვას სიმართლე, რომ შტადენმა ივანე მრისხანეს «მოწყალება» მართლაც დაიმსახურა. იგი იყო საუკეთესო ოპრიჩნიკი-ჩეკისტი. ერთხელ, სწერს შტადენი მოგონებაში, ერთ სოფელში მიუახლოვდით ეკლესიას, რომელიც იმყოფებოდა ერობის თვალის სასახლის ახლოს, სადაც თავი მოეყარა 300 კაცზე მეტი. ჩემი ხალხი (ოპრიჩნიკები) შეცვიინდა ეკლესიაში და დაუწყა ძარცვა ხატებსა და სხვა ასეთ სისულელებს. მე კი დავერიე ერობელებს. ერთი მათგანი ერთი გასროლით დავაწვინე, შემდეგ გავარღვიე ხალხი და გავხტი ჭიშკარში. ქალების ოთახებიდან დამიშინეს ქვები; დაუახე ჩემს მოსამსახურეს ტეშატს და ნაჯახით ხელში სწრაფათ ავირბინე კიბე. ზედა სათულში წინ შემომგეგება კნიაგინია, რომელსაც სურდა ფეხზე შემომხვევა, მაგრამ დაინახა რა ჩემი მრისხანე სახე. გაიქცა უკან ოთახში. მე მას უკანიდან ჩავსცხე ნაჯახი და იგი უსულოთ დაეცა კარებში; გადავაბიჯე მის გვამს და შევიჭერი ქალიშვილებს ბინაშიო.» ასეთი იყო ოპრიჩინელი შტადენის «გმირობა», როცა იგი პირადათ მეთაურობდა დამსჯელ რაზმებს.

სურათი კიდევ უფრო საშინელია, როცა, მისი მოხდენი ენით რომ ვთქვათ, იგი და «დიდი მთავარი ივანე მიდიოდა საკუთარი ხალხის, ქვეყნისა და ქალაქების საძარცვაათ. აი როგორ მოგვითხრობს შტადენი ბოიარინი ივანე ჩელიადინის სიკვითხრობით დასჯას და მისი სოფლებს ახრებას. ჩელიადინი

იყო დერბტში ნამესტნიკათ, ეხმარებოდა მეფის მოხელეებისაგან შევიწროებულ ხალხს სიმართლის აღდგენაში. ამის გამო იგი გამოიწვიეს მოსკოვში, მოკლეს და სანახვო ორმოში გადაადგეს. მაგრამ ივანე მრისხანე, სწერს შტადენი, პირადი მისი დასჯით არ დაკმაყოფილდა. იგი ოპრიჩნიკებით შეესია იმ სოფლებს და ქალაქებს, რომლებიც ჩელიადინს ეკუთვნოდა. გადასწვა ისინი თავის სახლებით, ეკლესიებით და ყოველივეთი, რაც კი მათში მოიპოვებოდა; ქალები და ქალიშვილები გაატიტვლა თავიდან ფეხებამდის და მინდორში ისე აჭერია ქათმებით.

არც ქ. ტვერს დასდგომია კარგი დღე. ყოველ დღე, მოგვითხრობს ოპრიჩნიკი გერმანელი, დიდი თავადი ივანე იცვლიდა ბინას და გადადიოდა ახალ მონასტერში, სადაც მის თავაშეებულებას საზღვარი არ ქონდა. მისი ბრძანების თანახმად აწამებდენ ბერებს, და ბევრი მათგანი მოკლული იქნა. მონასტერთა რიცხვი ქალაქ შიგინი და მის ახლოს სამსამედი იყო და ვერც ერთი მათგანი მის რისხვას ვერ გადაურჩა. ამის შემდეგ შეუდგა თვით ქალაქის ძარცვას. დილით, როცა დიდი თავადი ბანაკიდან ქალაქს უახლოვდებოდა, მას წინ ეგებებოდა ქალაქის უფროსი და მისგან გებულობდა, მთელი ღამის განმავლობაში რა მოხდა ქალაქში. დიდი თავადი ივანე პირადათ იღებდა ყოველ დღე მონაწილეობას ქალაქის აწიოებაში. არც ქალაქში და არც მონასტერში არაფერი არ უნდა დეტოვებიათ, რასაც მხედრობა ვერ მოეწეოდა წასაღებათ. ყველაფერი მდინარეში უნდა გადაეყარათ, ხოლო ვინც იქიდან რასმეს ამოღებას გაბედავდა, მას ხეზე ახრბდენ. და მთელი ეს საშინელება გრძელდებოდა 6 კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ.

სულ დიდმა თავადმა ივანემ მოკლა 130 ქალაქის უფროსი. ნოვგოროდში ივანემ ვისკოვატოვს მოსჯრა პირველათ ცხვირი და ყურები და მერმე ხელები, მიკიტა ფუნეკოვი მოვლანზე სვეტზე მიაკრა, ასხა დულარე და ასე ცოცხლათ მოხარშა, დანარჩენები ზოგი მოხრილი ხის ტოტზე მიმბით დაახლეთა და ზოგიც—სარებზე ჩამოამცოლა.

ერთი სიტყვით, დაასკვნის შტადენი, «მთელ სამეფოში დიდი გლოვა და უბედურება გამეფდა. სადაც კი დიდი თავადი ივანე ვათევედა ღამეს, იქ მეორე დღეს ყველაფერს ანადგურებდენ და სწვავდენ. მრავალი მოყაყდათ დიდ თავადთან სრულიათ გატიტვლებული და მისი თვალის წინ თოვლზე არბენინებდენ. მოყაყდათ ერთი მეორის შემდეგ და თავადი მათ კლადა ისე, როგორც მოეხასიათებოდა, ერთს ასე, მეორეს—ისე. ყველა დახოცილთ სჭრიდენ ფეხებს და შემდეგ ყინულ ქვეშ აგდებდენ მდ. ვოლგაში. ქალებსა და ქალიშვილებს ატიტკლებდენ სავსებით და ისე ახრეტიებდა დამსჯელ რაზმებულებსო».

ჯალათობა და სადიხში ამაზე შორს ველარ წავა, მიუხედავათ იმისა, რომ ოპრიჩინამ ღირსეული მემკვიდრე—ჩეკა დასტოვა.

როგორ ეხმაურებოდა და როგორ პასუხს სცემდა თავის მეფის ჯალათობას მაშინდელი რუსის საზოგადოება?



ყველაზე უფრო განათლებული თავიდა ა. კურბსკი ლიტვაში გაიქცა და იქიდან მიწერ-მოწერა გამართა მეფესთან და ეკითხებოდა: რას გვერჩი და რათ გვანადგურებ შენს ერდგულ ყმათა? მიტროპოლიტმა ფილიპემაც ვაბედა და აღიმაღლა ხმა დევნილთა დასაცავათ. მაგრამ ოპრიჩნიკებმა იგი სამუდამოთ დაადუმეს. დანარჩენი საზოგადოება კი შიშის ზარით იყო შეპყრობილი და სდუმდა.

«მეფე შეუდგა ბოიარების თვითეულათ განადგურებას, სწერს პროფ. კლიუჩევსკი, რომლებიც მის მარჯვენ ხელს შეადგენდნ მართვა-გამგეობაში, მაგრამ მათ საქმეებიდან არ ხსნიდა, ვინაიდან უიმართოთ არსებობა არ შეეძლო. ეს მართველი კლასი კი ითმენდა და სდუმდა და მხოლოდ თავის გულში ჩუმად ფიქრობდა ლიტვაში გაქცევას. გამხეცებული მეფე ღვრიდა არა ბოიართა სისხლსაც; მთელს სამეფოში მისი სახელით დაწოწოდნ ოპრიჩნიკთა ბრბოები. ეს მუნდირში გადაცმული ანარქისტები და იწვევდნ ქრისტიანული საზოგადოების სინდისს აღშფოთებას, ხოლო ეს საზოგადოება ითმენდა და სდუმდა. ჯმუნვას და ზიზღს შეეპყრა ხალხი, უკმაყოფილება და საყვედური ისმობდა მეფის შესახებ, მიუხედავად ამისა, პროტესტის ნასახიც არა ხსანდა.

თითქოს ერთმა მხარემ დაკარგა შიშის და პასუხისმგებლობის ყოველივე გრძობა ზედმეტი თვითნებობაში, ხოლო მეორე მრავალმილიონიანმა მხარემ დაივიწყა მოთმინებისა და ტყვილეების გრძობის სახლვარი და შიშით გაქვავდა ექვსი ათასიან

თავზე ხელაღებულ ბრბოს წინაშე, რომელიც აღექვსანდროვის სლობოდის ბუნაგში ბინადრობდაო. (პროფ. კლიუჩევსკი «რუს. ისტ.» ტ. II გვ. 513).

ამავე სურათს აქვს დღესაც ადგილი. კომუნისტების ქურქში გახვეული «უშკუიცები»-ჩეკისტები მსოფლიოს ერთ მეექვსედ ქვეყანას აწიოკებენ. ხალხი მათ წყველა კრულვას უთვლის, მაგრამ მისი თავიდან მოშორებას ვერ ახერხებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივანე მრისხანე თავის დროის და მინდვით იყო კარგი მწიგნობარი, ღვთის მეტყველების საუკეთესო მცოდნე და დიდი «მორწმუნე», იგი ყოველ დღე დადიოდა ეკლესიაში, ზოგჯერ თვითონ რეკდა ზარებს, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო თავისი ქვეყნის უდიდესი ჯალათი. იგი ცინიკურათ ადგენდა დახოცილთა სიებს და უგზავნიდა ეკლესიებსა და მონასტრებს, რათა ელცათ დაღუპულთა შესანდობელათ. ერთი სიტყვით, ქვეყნის დარბევა და სისხლის ნახევა სწარმოება «სახელითა ღვთისათა და ბრძანებითა მეფისა», ისე, როგორც ესლა იგივე დარბევა სტედა «სახელითა ღვთისისა და ბრძანებითა სტალინისა». ტყვილათ კი არ ამბობს ტ. მასარიკი—ღვინმა იდეია ევროპისაგან ისესხა, ხოლო ტაქტიკა—ივანე მრისხანესაგანო. ივანე მრისხანეს რუსის ერი დიდ მეფეთ სთვლის. პროფ. ვიპერი მას პეტრე დიდზეც მაღლა აყენებს. შეიძლება ღვინსაც ასეთი ბედი ეწვიოს. არაფერი არ არის გასაკვირალი, რუსეთი ევროპის სახომით არ განიწმობა.

კ. ა. ი.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ა მ ბ ი თ

(ცდა ჩვენს ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმდინარეობას)

საქართველო ძველადგვა ცნობილი, როგორც მთის მადნეულობით მდიდარი ქვეყანა. საუბედუროთ თვით წარმოება სამთა-მადნისა, დღეს დღეობით, სუსტად არის ჩვენში დაყენებული. აქამდინ ისიც კი არ ვიცით დანადგილებით, რა აუარებელი სიმდიდრე გვაბადია ამ დარგში! ყველაზე უფრო სახელგანთქმულია ჩვენში შავიქვისი, ან მარგანეცის წარმოება.

პირველად ამ მრეწველობამ საქართველოში 1886 წელს აიდგა ფეხი, როდესაც სულ გამოღებული იყო 4.215.000 ფუთი შავიქვა. მას აქეთია, და მიუხედავად იმ ათასი არახელსაყრელ პირობების, რომელთაც ჩვენს მრეწველობას უყენებდა საზღვარგარეთელი კონკურენცია, შინაური მოუწყობლობა და რუსეთის მთავრობის ცნობილი ეკონომიური პოლიტიკა, რითაც ფერხდებოდა ჩვენში საწარმოო ძალების განვითარება,—მიუხედავად ყველა ამისა ჩვენებურმა მარგანეცმა მაინც საქვეყნო სახელი მოიხვეჭა.

მთელი ის სივრცე, რომელზედაცაა აღმოჩენილი (შორაპნის მახრავში) შავიქვა, არა ნაკლებ 100 ოთხკვერსტს უდრის. სიღრმე მადნით მოცულ ნიადაგის, საშუალოდ, ერთი საყენია ნაანგარიშევი.

სხვადასხვა სპეციალისტების გამოანგარიშებით, ქიათურის რაიონის შავიქვის რაოდენობა უდრის 6-დან—16 მილიარდ ფუთამდე; ასეთი დიდი განსხვავება

ვება არსებობს ჩვენებურ მარგანეცის მარაგის გამოანგარიშებაში!..

მთელი ის შავიქვა, რაც ქიათურის რაიონის მარგანეციდან გამოდის, გარეცხილი თუ გაურეცხავი და აგრეთვე ეგრედ წოდებული პიროქსიდი,—ყველა ეს გასაყიდათ საზღვარგარეთ იგზავნება.

მივ საქართველოში, ერთი მისხალიც კი არ ხმარდება შინაურ წარმოებას. ამ რიგად, ჩვენი ქვეყანა უცხოეთში თავის ნედლს, სრულებით გადაუშუშავებელ საქონელს გზავნის. ამითი, რასაკვირელია, ჩვენ ხალხს ეკარგება ის ზედმეტი მოგება, რაც იმ ქვეყნებს რჩებათ, რომელნიც ჩვენებურ მარგანეცის საშუალებით ამზადებენ ასეთ უფრო ძვირად ღირებულ საქონელს, როგორიც მაგ. ფერო მარგანეცია.

საკითხი, რომ ჩვენშიაც მოხდეს ფერო მარგანეცის დამზადება, დიდი ხანია დაყენებულია და თეორეტიულად შესწავლილი. ამ უამად საქართველოში უკვე გადასდგეს პრაქტიკულ ნაბიჯები ფერო-მარგანეცის ქარხნის ასაგებათ. იქნებ, მართლაც, გვედირსოს, ამიერიდან მაინც, უფრო კარგად გამოვიყენოთ ჩვენებური ნედლი მასალა და ჩვენშივე დამზადებულ ფერო-მარგანეცის ექსპორტიც დაიწყოთ.

დღევანდელი საქართველოს პასუხის მგებელი მოხელენი (ინჟინ. ბ. ჭიჭინაძე, ყურთულაშვილი და სხ.) დიდს იმედებს იძლევიან თავის მოხსენებებში.



თუ საერთოდ ხუთი წლის გეგმა და საზოგადოთ ბო-  
ლშევიკების ხელიდან გამოსული სხვა მყვირალა გე-  
გმები—ერთის მხრივ—უნუქას ანდერძს მოვაცანებენ,  
ამ პროექტებში არიან ისეთებიც, რომელთა განხორ-  
ცილებაც სრულებით არაა ფანტასტიური. მეტადრე  
იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტები სრულიად  
რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან და არა კერძოთ  
საქართველოსას. ამ კატეგორიას ეკუთვნის ჩვენი ფე-  
რო-მარგანეცის წარმოების დაწყება; როგორც აღვ-  
ნიშნეთ, ამ საკითხს გრძელი ისტორია აქვს და დიდ  
ხანია იგი დღიურს წესრიგშია დაყენებული; ჯერ კი-  
დეც ცარიზმის ეპოქაში. მართალია, ბოლშევიკებმა  
ყველაფერში გადამეტება იციან და ამიტომაც, რომ  
მათი პროექტები ხშირად ფანტასტიკას მოვაცანე-  
ბენ. მაგრამ იმათ ვაზიანდებას იქნებ ერთი სიკეთე  
ის მოყვეს, რომ თუ დიდს და ბუმბერაზს ვერ განა-  
ხორციელებენ, ცოტა რამ სახირო მანც გამოდნეს  
მათ მყვირალა პროექტიდან.

აი რა დაპირებებს იძლევა გ. ყურულაშვილი საქ-  
კომპარტიის მე-6 ყრილობაზე: «ჩვენ გეგმით გათვა-  
ლისწინებული გეგმად ამ 5 წელში აგვეშენება 24  
ათასი ტონა ფერო-მარგანეცის დამმუშავებელი ქარ-  
ხანა, მაგრამ, ჩვენი გეგმის საკავშირო სმუში გა-  
სინჯვის დროს, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ჩვენ  
მომავალ წლიდან შეუდგეთ ისეთ ფერო-მარგანეცის  
ქარხნის აგებას, რომელიც 31-32 წელში მოგვცემს—  
40-50 ათას ტონა მარგანეცს (ფერო?), ხოლო ხუთი  
წლის ბოლოს 150 ათას ტონას. 40-50 ათას ტონა ფე-  
რო-მარგანეცის მომცემი ქარხანა ჩვენ უნდა ავაშუ-  
შავოთ 31 წლის ბოლოს რიონპესის დამთავრებასთან  
ერთად. სულ მარგანეცის მრეწველობაზე დაიხარ-  
ჯება 30 მილიონზე მეტი, აქედან 15 მილიონამდე  
ფერო-მარგანეცის ქარხანაზე. ფერო-მარგანეცის 150  
ათას ტონამდე აყვანა მოითხოვს დიდ ელექტრო აღ-  
მშენებლობას... (თაფარავანის სადგური; მის აშენე-  
ბას 30-31 წელში შეუდგებითო, გვპირდება გ. ყურულ-  
აშვილი)... ფერო-მარგანეცის ქარხანა აგებული იქ-  
ნება ზესტაფონში»-ო.

ამ გეგმაში ერთ პატარა შესწორებას შევიტანთ.  
მომხსენებელი გვარწმუნებს; რომ «საკავშირო სმუ-  
სის» ჩარევით 40 50 ათას ტონა მარგანეცის მავგ-  
რად, თავის დროზე ქარხანა 150 ათას ტონას «მოგვ-  
ცემს». რომ საკავშირო სმუსების საქართველოს  
საქმეებში ჩარევით საქართველო არაფერს «მიიღებს»  
ეს ყველასთვის ცხადზე უცხადესია. ამას მხოლოდ  
ქართველი ბოლშევიკები არა ხედავენ, ან ვითომდა  
არა ხედავენ, და ამიტომაც, რომ ქართველი ერის სა-  
არსებო ინტერესებს ისინი ასეთის სიადვილით უთ-  
მობენ საქართველოსათვის სულ უცხო ელემენტებს..

შექმნილი მდგომარეობის საილუსტრაციოთ გვ-  
გონდება ერთი ამბავი, რომელიც საქართველოს  
ძველს მატინანშია მოყვანილი.

ერთი უცხოელი მოგზაური, რომელიც მე-18 სა-  
უკუნეში საქართველოში ცხოვრობდა, ასეთ მოხსე-  
ნებას უზნავს თავის მთავრობას. ეს ქვეყანო,  
სწერს იგი, ყოვლის სიკეთითაა აღსავსეო; იგი მდი-  
დარია ოქროსი და სხვა ძვირფას მადნებით. მაგრამ  
მოსახლეობა განგებ არ აჩენს იმ ადგილებს, რადგან

ეწინია, რომ მათი მძლავრი მეზობლები გაიკებენ თუ  
არა, რა სიმდიდრეა ჩამარხული საქართველოს ნია-  
დაგში, შემოიჭრებიან საქართველოში და ძალით და-  
იპყრობენ მასაო. «ამიტომ ქართველები ამჯობინე-  
ბენ სიღარიბეში დარჩენ, ოღონდ კი თავისუფლება  
და დამოუკიდებლობა არ დაკარგონ...» ასე ათა-  
ვებს თავის მოხსენებას ის უცხოელი.

ქართველი ბოლშევიკები, რასაკვირველია, საქა-  
რთველოს ერის ვერც ამ სულისკვეთებას ჩახვდ-  
ბიან.

ამ ყამად, როგორც ზემოდ ვსთქვით, მარგანეცი  
მხოლოდ ნედლი მასალის სახით იგზავნება უცხოეთ-  
ში. არ არის, თითქმის, არც ერთი სახემწიფო ევრო-  
პა-ამერიკაში. სადაც კი მძიმე ინდუსტრია, ან სხვა  
რამ შესაქები წარმოება არსებობს, რომ საქართვე-  
ლოს, ან, როგორც მას ომის წინ უწოდებდენ «კავკა-  
სისის», მარგანეცი არ გადიოდეს. გემი-გემზედ იტვირ-  
თებოდა ფოსფა და, უფრო ნაკლებად, ბათუმში, და  
ამ გზით ეზიდებოდენ უცხო ქვეყნები ჩვენ მადანს.  
იგი დღესაც ამ გზით გადის, მაგრამ, მრავალ რთულ  
მიზეზების გამო, გაცილებით, უფრო ნაკლები. ვიდრე  
ეს 1913 წელს ხდებოდა. ექვს გარეშეა, რომ ექსპორ-  
ტის შემცირება დროებითი მოვლენაა და ახლო მერ-  
მისი მანც ჩვენებური მარგანეცისაა.

თავისთავად მარგანეცის მადანი არ წარმოადგენს  
იშვიათ ნივთიერებას. დედამიწის ზურგზედ მარგანე-  
ციანი მიწა-გორები მრავლად მოიპოვება, მაგრამ,  
მიუხედავად ამისა, ყველა უფრო საქართველოს მა-  
დანს ეტანება. ამის მიზეზი ისაა, რომ არსად არ არის  
იგი ბუნებრივად ისე ერთბაშად დაგროვილი, ისე  
ადვილად დასამუშავებელი, ზოგიერთი შემადგენ-  
ლობით ისე მდიდარი, როგორც ჰიათურის რაიონის  
შავიქვაა და იმავე დროს ზღვის პორტებთან ასეთის  
სიახლოვით მდებარე (ფოთამდე მაგალ. 176 კილო-  
მეტრია).

დიდი ხნიდან ცნობილი ჩვენი მეტოქენი—ინ-  
დეთის და ბრაზილიის მადნები—ყველა ამ პირო-  
ბებით უფრო ცუდს მდგომარეობაში არიან და სწო-  
რედ ამიტომ ხდება, რომ, მეტ წილად, ვკაზნით  
მათ მარგანეცის გასაღებაში.

რაც შეეხება მარგანეცის საეკილურ ხარისხს,  
პირაქსილს, მისებრ მაღალი შემადგენლობის და  
ერთად დაგროვილი მადანი, თითქმის, არსად არსე-  
ბობს და ამ მხრივთაც, ჯერჯერობით, მეტოქეობის  
გარეშე ვიდგებოდით, რომ სათანადო ზომების შე-  
მოღება დროზედ მოგვესწრო... ვამბობთ,—ჯერჯე-  
რობით, რადგან ჯერ არ შეჩერებულა და არც შეჩე-  
რდება არასოდეს კვლევა-ძიებანი საკუთარი მარგა-  
ნეციანი ადგილების აღმოსაჩენად, ყველა ქვეყნებში.  
ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რათა ნამდვილი  
წარმოდგენა გვქონდეს დღევანდელს ჩვენს სიმდი-  
რეზედ და მის მოხმარების პირობებზედ.

თუმცა მარგანეცი აუცილებლად მოსახმარი  
ელემენტია სხვადასხვა დარგის წარმოებაში რო-  
გორც ფოლადის გამოყვანაში, ისე ქიმიურ ინდუს-  
ტრიაში, მანუფაქტურულ ფაბრიკებში (საღები მა-  
სალა), შუშის ქარხნებში და სხვაშიც, მაგრამ ყველ-  
გან იგი, შედარებით, მცირე რაოდენობით ხმარდება. ამა-

ვე დროს ბევრ სხვა მადანთან შედარებით იგი უფრო იაფ ფასიანი საქონელია.

ამით უნდა ავსხნათ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მარგანეცი მაგ. 1913 წელს ერთ მილიონ ტონამდე იყო გატანილი, მისი ღირებულობა, შედარებით მის წონასთან და გემბებზე ვეებერთელა ადგილის დაკავებასთან, ნაკლები იყო, ვიდრე სხვა მადნების და ნივთიერების, როგორც არის მაგ. რკინა, ქვის-ნახშირი, ან ნავთი.

მიუხედავად ამ გარემოებისა მარგანეცის წარმოებას უფრო დიდი ალავი უკავია ჩვენი ერის ეკონომიკაში ვიდრე მაგ. ნავთს ანერბიჯანის მოსახლეობისათვის. ეს უკანასკნელი წარმოება იქ თითქმის სულ უცხოელ კაპიტალს ეკუთვნოდა. ჩვენებურ შავიქვის წარმოების 45 პროც. (მეტე და არა ნაკლები) თვით საქართველოს მოქალაქეთა ხელში იყო დაგროვილი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს უმრავლესობა ქართველ მრეწველებისა შეერთდა «საქციონერო საზოგადოების» სახელით. ამ მესაკუთრეთა დიდი წილი წვრილი მრეწველი იყო, მომუშავე საკუთარ მალაროებში. გარდა ამისა წარმოებაში ჩაბმული მუშები, მალაროებში ვაგონების დამატირთველი და სხვა პერსონალიც სულ ქართველები იყვნენ. ამ რიგად მუშა-მოსამსახურეთა ქირაც შიგ საქართველოშივე რჩებოდა.

ჩვენ მარგანეცის წარმოებას ერთი დიდი ნაკლი მოსდევდა იმ თავითვე: ქართველი მწარმოებელი ვერ ბედავდა თვითონ გაეტანა მარგანეცი საზღვარგარეთ გასაყიდათ. ამით მას ის უმთავრესი მოგება აკლდებოდა, რომელიც მარგანეცის ექსპორტთან არის დაკავშირებული.

როდესაც საქართველომ კვლავ დაიბრუნა თავისი დამოუკიდებლობა, სწორედ მაშინ მოისპოა ის დამბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც ჩვენებურ მრეწველთ ხელს უშლიდნენ, რომ თითონაც გასულიყვნენ საზღვარგარეთ.

სწორედ ამ ხანაში მოხდა ორი დიდი ფაქტი, რომელმაც სასიკეთო ცვლილება შეიტანა ჩვენებურ შავიქვის მრეწველობაში: შეერთდნენ წვრილი და საშუალო ღონის ქართველი მრეწველები და დაარსეს ერთი მძლავრი ორგანიზმი «ქრათურის შავიქვის მრეწველთა საქციონერო საზოგადოება» და ამავე დროს დაარსდა საქსპორტო საზოგადოება «ჩემო», სადაც ქრათურის რაიონის თითქმის ყველა მრეწველი შევიდა.

«ქართულ საქც. საზოგადოების» დაარსებით დაგვირგინდა ცნობილი მოღვაწის გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის წადილი,—ქართველ მრეწველთა შეერთებით შეექმნა ერთი ძალოვანი ორგანიზაცია.

მეორე შესაძენვე ფაქტი, როგორც ვთქვით, იყო საქსპორტო საზოგ. «ჩემო»-ს დაარსება. ამ საზოგადოების მთავარი მიზანი იყო ერთად შეჯგუფება და დაამხანაგება ყველა მრეწველების—ქართველების თუ უცხოელების, თავიდან მოცილება გამრავლებულ არამკითხველ გამყიდველთა რიცხვის—კომისიონერების—, რომელნიც ერთმანეთის ჯიბრით და ხშირად მოტყუილებითაც ძირს სცემდნენ მადნის ღირსებას და ფასებს, მყიდველებს წონაში ატყუი-

ლებდნენ, აბარებდნენ მდარე ღირსების საქონელს, და ყველა ეს კი დიდად უტეხდა სახელს საქართველოს მარგანეცს.

1913 წელს საზღვარგარეთ გავიდა ერთი მილიონი ტონა შავიქვა, მაგრამ ეს არ იყო ექსპორტის ჩვეულებრივი ნორმის გამოძახებელი. ეს ის წელიწადი იყო, როდესაც მთელი ქვეყნიერება ომისათვის ემზადებოდა და როდესაც, სიფრთხილის გულისათვის, ყველა სახელმწიფო იმარაგებდა სამხედრო ინდუსტრიისათვის საჭირო მარგანეცს.

საზოგადოთ, შავიქვის მრეწველობის სტატისტიკა გვიჩვენებს და ნათელ ყოფს—თუ რა დონეზედ სდგას ესა თუ ის ინდუსტრია—წარმოება, ევროპასა და ამერიკაში: დეპრესია წარმოებაში იწვევს კრიზისს მარგანეცის ექსპორტშიაც. ეს დამოკიდებულება ისე პირდაპირი და უშუალოა, რომ ევროპა-ამერიკის ინდუსტრიის კრიზისების ანუხსნით ადვილად შეიძლება ქრათურის შავიქვის ექსპორტის კრიზისების დასურათებაც. მოვიყვანთ შავიქვის სტატ. კრებულისაგან ზოგიერთ ცნობებს, რომელნიც ნათლად გვიჩვენებენ საქართველოს მარგანეცის მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობას.

მთელს დედამიწის ზურგზე 10 წლის განმავლობაში (1904—1913 წლამდე) დამზადებულია სულ 18.573.468 ტონა მადანი, აქედან საქართველოში იყო დამზადებული 5.333.701 ტონა, ან მთელი ქვეყნის პროდუქციის 28,72 პროცენტი.

იმ ათი წლის განმავლობაშივე ყველა სახელმწიფოებს მოუხმარებია მრეწველობაში 18.639.146 ტონა მარგანეცი. ამ რიცხვში მხოლოდ 3.891.703 ტონა ყოფილა საკუთარი მადნიდან ამოღებული და დანაშენი 14.747.421 ტონა კი მათ უცხო ქვეყნიდან დაუბარებიათ. აქედან ათი წლის განმავლობაში საქართველოდან 6.020.600 ტონა ყოფილა დაბარებული.

ჩვენებურ მრეწველობის მნიშვნელობის შესაფასებლად საინტერესოა შემდეგი ცხრილი: (დ. აფხ.)

დამზადდა მარგანეცი 1913 წელს:

ქვეყნები	სულ რამდენი დამზადდა:	პროცენტი საერთო ჯამისა:
საქართველო	1.062.500 ტონი	52,5 პროც.
ინდოეთი	772.000 „	36,9 პროც.
ბრაზილია	122.000 „	5,8 პროც.
სხვა ქვეყნები	98.000 „	4,8 პროც.
სულ: 2.054.500 ტონი		100 პროც.

როგორც სტატისტიკური და სხვა ცნობები გვიჩვენებენ, ქართულ შავიქვის მრეწველობისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს უფრო მეტი რაოდენობაც მიაწოდოს მომხმარებელ ქვეყნებს. საუბედუროდ, იგივე ცნობები გვიჩვენებენ, რომ არის რაღაც მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენს წარმოებას ისე განვითარდეს, როგორც ეს მის ძალას შესწევს. მანამ ეს დამბრკოლებელი მიზეზები არ იქმნებიან უკუგდებულნი, საერთო ძალით და საერთო შეთანხმებით, საუკვოდ მიგვაჩნია, არამც თუ მეტი ზრდა ექსპორტისა, არამედ თვით ზემოდ ნაჩვენებ ნორმაზედ შეჩერებაც კი. ქრათურის მრეწვე-

ლობას იმ თავითვე რაღაც უბედობა მოსდევს და თუ არ გვინდა საბოლოოდ დავმარცხდეთ უცხოელ ქვეყნების კონკურენციაში, დროა სერიოზულად მივხედოთ ჭიათურის მრეწველობის მოთხოვნილებებს (ამ საგანის შესახებ იხილეთ ჩვენი ორი წერილი: «ახალი ეტაპი ჭიათ. შავიქვის მრეწველობაში» ეურნალ «დამოუკ. საქართველო» №№ 37 და 38).

იმ სუთწოდის გეგმაში, რომლის განხორციელებას ცდილობენ ამ ქამად საქართველოში, მარგანეცის საქმეებს დიდი ალაგი აქვს დათმობილი. ჩვენ იმ გეგმაში (რაც შავიქვას შეეხება) არასფერს ვხედავთ შეუსრულებელს, თუ ბოლშევიკებმა აცალეს სპეციალისტებს მათ მიერ შედგენილ გეგმის შესრულება. ყოველ შემთხვევაში მოვიყვანთ მცოდნე მუშაკთაგან გამომუშავებულ ცხრილს, რომელიც იმის მაჩვენებელი მაინც იქნება, თუ რის გაკეთება შეიძლება ჭიათურის სამრეწველო რაიონში.

ჭიათურის შავიქვის მრეწველობის 5 წლიანი გეგმა ციფრებში.

მარგანეცის წარმოების ზრდა (ტონებში)

წლები	გარეცხილი	ჩვეულებრ.	სულ
1928-29	600.000	150.000	730.000
1929-30	800.000	200.000	1.000.000 <sup>*)</sup>
1930-31	900.000	300.000	1.200.000
1231-32	1.100.000	300.000	1.400.000
1932-33	1.300.000	300.000	1.600.000

ფერო-მარგანეცის წარმოების დაწყება

წლები	ტონებში
1928-29	—
1929-30	—
1930-31	—
1931-32	40.000 <sup>**)</sup>
1932-33	50.000

მარგანეცის ექსპორტი

წლები	გარეცხილი	ჩვეულებრ.	სულ
1928-29	600.000	150.000	750.000
1929-30	800.000	200.000	1.000.000
1930-31	900.000	300.000	1.200.000
1931-32	1.100.000	300.000	1.400.000
1932-33	1.300.000	300.000	1.600.000.

—ლი—ზ.

\*) 5 წლ. გეგმის მეორე წლის 1929-30 წ. წარმოება გადიდებულია: გარეცხილი 1.100.000 ტ. და ჩვეულებრივი 150.000 ტ., სულ 1.250.000 ტონა.

\*\*) 5 წლედის უკანასკნელი 2 წლის წარმოების დანიშნულება—საექსპორტოა.

პარტიზანები საქართველოს და აზერბაიჯანში

საქართველოდან იტყობინებიან 17 მარტის რიცხვით:

საქართველოში დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული გამოსვლები საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. ხდება ხშირ-ხშირი შეტაკებები გეპუსს და კომუნისტურ საგანგებო რაზმებთან. გამოსვლები გამოიწვია საკოლექტივიზაციო კამპანიის ხელახლად დაწყებამ და გაძლიერებულმა რეპრესიებმა.

ასეთივე გამოსვლები დაწყებულია ადერბაიჯანში. პარტიზანთა რიცხვი ორივე მხარეში რამოდენიმე ათასს აღწევს.

მოდრაობის შესახებ მეტრე წყაროდან გადამოგვამენ შემდეგს:

აზერბაიჯანში დაიწყო მასიური გამოსვლები მოძრაობაში მონაწილეობას იღებს სუთი ათასი შეიარაღებული პარტიზანი. ორი ჯგუფის ხელმძღვანელია—კასი ახუნდოვი და მესმეტ კახიმი. გამოსვლებია, აგრეთვე, საქართველოში—ბორჩალოში, ყარაიხში და კახეთში. აქ პარტიზანთა რიცხვი აღწევს ორი ათასს კაცამდე. საქართველოში ხდება მასიური დატუსაღებანი. დახვრიტეს რამდენიმე ტუსალი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი (გაზეთებიდან)

სამხრეთ ოსეთის საბჭოთა ყრილობამ ცხინვალს დაარქვა სტალინისი.

— ტფილისში გაიხსნა მწერალთა კლუბი.

— გახშირდა მუშაკობიდან ყალბი საბუთებით გამოტანილ დეფიციტიან საქონლის სპეკულიაცია კერძო ბაზარზე.

— ტფილისის მოსახლეობა სამას ათასს უდრის, აქედან თუთხმეტი ათასი «შავსიელია», მაშასადამე მომარაგებანე ირიცხება 285 ათასი. წიგნაკები კი გაცემულია 367 ათას სულზე. ტფილისის ყველა დარგის საწარმოებებში 51 ათასი მუშაა, მუშათა წიგნაკი კი გაცემულია 102 ათას კაცზე.

— აფხაზეთი, რომელიც «დამოუკიდებელ რესპუბლიკად» ითვლებოდა წინად, ამიერიდან «ავტონომიური რესპუბლიკის» სახელით შედის საქართველოს ფარგალში.

— საქართველოს საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე არჩეული იყო 602 დელეგატი, მათში გადამწყვეტი სმით 450. გამოცხადდა. 96,3 პროცენტი. ქალი იყო 74; ეროვნებით ქართველი 71,9 პროც., სომეხი 11 პროც., რუსი 5,7, თურქი 4,8 პროც. და სხ.

— საქარ. საბჭოთა ყრილობამ აირჩია სახ. კომისართა საბჭო შემდგენის შემადგენლობით: თავმჯდომარე ლ. სუნიშვილი, მისი მოადგილე ვ. გოგია, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარე ვ. მხარეულაშვილი, მიწათმოქმედების კომისარი შ. მათიკაშვილი, ჯანმთელობის—ერ. კუჭაიძე, ვანათლების—არტ. კვირიკაძე, შრომის—კ. ოდილავაძე, მომარაგების—ამბ. ურუშაძე, საგარეო ვაჭრობის რწმუნებუ-

ლი—გ. ელვრდაშვილი, სოციალ. უზრუნველყოფის კომისარი—გ. ვაშაძე. ფინანსთა—ან. დოლიძე, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის რწმუნებული—მ. ჩხლაძე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარი დ. ფანცულაია. პოლიტსამართველოს კომისარი ლ. ბერია. საქ. საბჭოების აღმასრ. კომიტეტის თავმჯდ. აირჩიეს ფ. მახარაძე და მდივნად ს. თოდრია.

**სამართველო დაპყრობის 10 წლის-თავი**

ბერლინი.

კვირას. 1 მარტს, ნაშუადღევს ნ. ს. ბერლინის ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს დაპყრობის მეათე წლისთავის შესრულების აღსანიშნავად, ერთხელ კიდევ გაიხსენა ის შავი დღეები—თებერვალ და მარტში და თვალი გადაავლო ქართველ ერის კვლავ დამონების 10 წლის ისტორიას... ქართველების გარდა კრებას სტუმრებიც დაესწრენ: გერმანელები, სომხები, აზერბეიჯანელები, თურქესტანელები, უკრაინელები.

კრება გახსნა ქართველ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ. მ. წულუკიძემ, რომელიც ჯერ ქართულ სიტყვაში და შემდეგ მოკლე გერმანულ მოხსენებაში შეეხა საქართველოს წარსულს, დამოუკიდებლობის ხანას და მის დაპყრობა-დამონების 10 წლის ისტორიას და მტკიცე იმედი გამოსთქვა, რომ საქართველო და მისი მეგობარი, მეზობელი ერები საერთო ძალით თავის წმინდა მიზანს თავისუფლების—დამოუკიდებლობის—ადგენას მალე მიაღწევენ. შემდეგ ილაპარაკა უკრაინელთა შეერთებულ ორგანიზაციების სახელით ბ. კოჩენიკოვმა, რომელმაც მიაქცია ყურადღება იმ კავშირს, რომელიც ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაიბა ქართველთა და უკრაინელთა შორის და ამ კავშირის განმტკიცება გულწრფელად მოისურვა.

აზერბეიჯანელების წარმომადგენელმა ბ. ხილალ მუნშიმ მოუწოდა რუსეთის ყველა დამონებულ ერებს მტკიცე კავშირისთვის და კერძოდ კავკასიელებს მკიდრე შეთანხმებისათვის.

თურქესტანელების წარმომადგენელმა წრფელი სალაში უძღვნა ქართველ ერს, მებრძოლს თავისუფალ ცხოვრებისათვის იმ ერის სახელით, რომელიც უკვე გამოდვიძებული, მომწიფებული დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის, იმავე მიზნებისათვის იბრძვის თვით, როგორც საქართველო და სხვა დამონებული ერები.

სიტყვა გერმანელ სოც.-დემ., სოციალის-სტუდენტების ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა ბ. ფრიდლენდერმა აიღო, რომელმაც განაცხადა, რომ ის, როგორც გერმანელი სოციალისტი და ზევით დასახელებულ ორგანიზაციის წარმომადგენელი, მთელი თავისი შეგნებით, თანაგრძობით, სურვილებით თავგანწირულად მებრძოლ ხალხთან არის, რომელიც თავის დიად მიზანს, დამოუკიდებლობის ადგენას, რასაკვირველია, მიაღწევს.

ბ. ილია გოლდმანი შეეხა იმ რაღს, რომელსაც ქართველი, პოლიტიკურად ასე მწიფე, ასე მომზა-

დებული არა მარტო კავკასიაში თამაშობს და იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიდაც ქართველი ერი ისტორიულად, კულტურულად გარჩევით არის ჩაყენებული.

სიტყვა წარმოსთქვა ბ. ნ. იმნაიშვილმა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა საქართველოს დემოკრატიის მუშაობა და ბრძოლა ამ 10 წლის განმავლობაში.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ქართველ ერის პატივისცემისათვის, განსაკუთრებით სტუმრებს... კედელს ამშვენებდა ჩვენი, შავებში გახვეული, დროშა. ბევრმა ვინც ვერ დაესწრო ამ კრებას სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოდიში მოიხადა წერილით, თუ ტელეფონით. მაგ. ღრმა მოხუცებულმა ედ. ბერშტეინმა ტელეფონით გადმოგვცა: სულით და გულით თქვენთან ვარ, ქართველო მეგობრებო, მაგრამ შეუძლოთ ვარ, ცუდი დარია და ბოდიშს ვიხდი, რომ მოსვლა არ შემიძლია...

მ.—ანი.

**ვართავაში.**

მარტის 1-ს ს. მდივნის თავმჯდომარეობით შესდგა პოლონეთში მყოფ ქართველთა კოლონიის საგანგებო კრება, საქართველოს ოკუპაციის ათი წლის შესრულების გამო. თავმჯდომარემ გაიხსენა ქართველი ერის გმირული წარსული, განმათავისუფლებელი მოძრაობა, დამოუკიდებლობის აღდგენა, ოკუპაცია და დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა და მოიგონა დაღუპულ მამულიშვილთა სახელები. მის შემდეგ მოხსენება გააკეთა ტ. ბერიშვილმა საქართველოს აწინდელ მდგომარეობაზე. ილაპარაკეს ბ. კონიაშვილმა, მათიაშვილმა, ქუთათელაძემ, კეკელიძემ და იმნაძემ. დასასრულ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

გაგზავნოს ბ. ნოე ყორდანიას დეპეშა, სადაც აღინიშნოს, რომ მის მოწოდებას ჩვენ უერთდებით და მზათა ვართ მას გვერდში ამოუდგეთ. ათი წლის თავზე ჩვენი დაპყრობისა ქართველობა ვამოწმებთ ჩვენს რიგებს. ამ მებრძოლ რიგებს გავამაგრებთ ისე, როგორც არასოდეს და შემოვიკრიბებით ერის ბელადის ნოე ყორდანიას ირგვლივ, რომლის ბრძოლის ყიფნა შორიდან გვემისს. ჩვენ მასთან ერთად ან დავინაცვებით ან მივალწევთ მიზანს—საქართველოს მტრისაგან განთავისუფლებას. ვინც ჩვენთან არის ამ ბრძოლაში და ემსახურება საქართველოს საქმეს, მტკიცედ უნდა ჩადგეს ჩვენს რიგებში. საქართველოში ხალხი გაშმაგებით იბრძვის, საჭიროა ჩვენი გაერთიანებული ხმის მიწოდება, რომ მთლიანად ვდგევართ ბრძოლის ველზე საერთო მტრის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს მთლიანს შეკავშირებულ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენი ერის ბელადს ნოე ყორდანიას. სამუდამო ხსენება იმ გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს საქმეს.

გაუმარჯოს იმ ქართველობას, რომლებიც არსებულ საშინელ პირობებში მაინც განაგრძობენ იქ საქართველოში მტრის წინააღმდეგ ბრძოლას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

### ო ს მ ა ლ ე თ უ ი

ლიბერალების ოპოზიციამ და ქემალის მოგზაურობამ. როგორც სხანს, ნაყოფი ვამოილო. თურქეთის პარლამენტი დათხოვნილი იქნა და სულ მოკლე დროში უნდა მოხდეს ახალი არჩევნები. ამის გამო პრეზიდენტმა მოწოდებით მიმართა მცხოვრებელთ, სადაც აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ზოგიერთი ცთილობდენ ხალხში უნდობლობა გამოეწვიათ სახალხო პარტიისა და მთავრობის მიმართ. მაგრამ, ამბობს მოწოდება: მიუხედავად ზოგიერთი გასაქირისა დიდი უმრავლესობა მაინც სავსებით ენდობა სახალხო (მართველს) პარტიას. თუმცა ამავე დროს ქემალ ფაშას საქიროდ მიაჩნია მოითხოვოს, რომ კანდიდატების დასახელების დროს მეტი ადგილი ჰქონდეს დათმობილი ახალგაზრდას. ხნიერი პირები, ძველ წყობილებაზე აღზრდილნი, ადვილად ვერ ეგუებიან ახალ რეჟიმს, ამიტომ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ უფრო ერდგულად ემსახურონ რესპუბლიკასო.

თურქეთი დღეს დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, დიდი გაჭირვებაა. ამავე დროს თურქეთი ბუნებრივად მეტად მდიდარი ქვეყანაა. ხალხი ამ სიმდიდრეს სჭირია დამუშავება, რაც მოითხოვს კაპიტალს. თურქებს კაპიტალი არ აქვთ, უცხოეთიდან კი არავინ მოდის! რატომ? ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს გაზ. «ჯუმურეთი» და ამბობს, უცხოელენიმიტომ არ მოდიან ოსმალეთში, რომ უფლებრივად არ არიან უზრუნველყოფილნი. «დიდათ საქირია სწერს განეთი: უცხოელები სრულიად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ თურქეთის რესპუბლიკა მათ მოეპყრობა სრული სიმართლით, არ შეებრკავს მათ ეკონომიურ მუშაობას, არ შექმნის განსხვავებულ პირობებს და პრივილეგიებს ადგილობრივ მკვიდრთათვის. ჩვენი ეროვნული ღირსება და შევნებული ინტერესები მოითხოვენ, რომ უცხოელებმა რაც შეიძლება ადრე დაივიწყონ «კაპიტულაციების» საქირების სამწუხარო მოგონება».

დღევანდელი თურქეთი ორ დიდ საფრთხეს წინაშე დგას: ერთის მხრით მას ემუქრება რეაქცია, რომლის სიძლიერე ნათლად გამოაშკარავა ამას წინად მენემენში აღმოჩენილმა სარწმუნოებრივმა შეთქმულებამ, მეორეს მხრით ეკონომიური შევიწროება. უკანასკნელი ბოლო დროს მეტად გამწვავა საბჭოთა დემპინგმა. ეს გარემოება, მიუხედავად რუსეთ-თურქეთის მეგობრულ განწყობილებისა, ეტყობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს თურქულ პრესაში. გაზეთ «ხილალ-ი-ახატ»-ის სიტყვით: «თურქეთს განადგურება მოელის დემპინგის წყალობით. ჩვენს ნახშირს და ხორბალს საშინელს კონკურენციას უწევს რუსეთის ნაწარმოები. თუ ეს მდგომარეობა გაგრძელდა, თურქის გლეხები და მადაროების პატრონები ხელს აიღებენ ყოველგვარ წარმოებაზე... დემპინგი ემუქრება მთელს კაცობრიობას. თითქოს ეს

უბედურება საქმარისი არ იყოს ჩვენთვის და ახლა კიდევ რეაქციამაც თავი წამოყოს. თურქის ხალხი ორი მოვალეობის წინაშეა ამ ქამად: უნდა ეშინოდეს რეაქციის და თავი დაახწიოს კომუნიზმს, როგორც შავ ქირს».

### სტამბოლის მონასტაჩი და რ. ინგილო \*)

«დამ. საქართ.» მე-56 ნუმერში მოთავსებულია «წერილი რედაქციის მიმართ». ბ. ინგილო კაპიტალიდან ხელმეორ ასრეთ გვიკვირებს: «მე არავის ვებრძვი განუკითხავათ»-ო. კათოლიკე ქართველ მამათ სტამბოლის მონასტაჩის დანაშაულომა განუკითხავს ბ. ინგილოს და კიდევ ებრძვის მას. როცა კაპიტალი არსად ჩანს, ჩვენი ახალი ციკლონი უმიხეზოთ რათ ლეღავს? სტამბოლი თვალთ არ უნახავს, არ იცნობს არც ბერებს და არცა მოლოზნებს. ეს სხვამ გაიკვირვოს, ჩვენ არ გვიკვირს, რადგან უნახავზე და უცნობზე წერა ყოველდღიური სენია ჩვენში. ინგილო თავისი ორივე («დამ. საქართ.» № 55, 56) წერილების მიხედვით «წერილმანობაში» კი არა მარტო, არამედ მთავარ საკითხშიაც ლაშათიანათ სცდება. ამიტომ იძულებული ვართ პრესით გავსცეთ პასუხი. სულ ადვილად დაუმტკიცებთ მას, რომ მამათა სავანის მობინადრენი არ ვართ, როგორც მას ჰგონია, «უსამართლონი» არავისადმი, არც თვით ინგილოსადმი.

1. როცა ბ. ინგილომ პირველად გამოილაშქრა (№55), კერძო წერილით გავაფრთხილე. ამ მინაწერში მან მრავალი შემცდარათ და მრავალიც ხაზებს შუა აღმოკითხა სწერს (№ 56): «მ. წინამძღვარს დაუთვლებია მლ. შ. ვარდიძესათვის ჩემი მოკითხვა წერილობით»-ო. მსვავსი დავალება არ მქონია და არც მიმიწერია. ასეთ წარმოდგენილ მოკითხვას ბ. ინგილო არ კადრულობს, სამაგიეროს არ გვიბრუნებს, თავზე გვახლის მას და პოლემიკაშიც გვიწვევს, რის შემდეგ გააცებული დასძენს: «ავქსონი კი დაყინებით მოითხოვს, რომ «დამ. საქართ.» უახლოეს ნომერში ჩემი თავი გაბრიყვებულად გამოვაცხადო»-ო. არც ეს მიმიწერია; მხოლოდ ვსწერდი შემდეგ: «უმორჩილესათ ვთხოვთ, იმავე თვიურის უპირველეს ნუმერში გამოასწოროთ». ინგილომ თავის შეცდომის მშვიდობიანი გზით გამოსწორებას გაბრიყვება დაარქვა და რომ გამართლოს თავისი მეორეთ გამოსვლა პრესაში, ჩვენ გვათქმევინებს: «ამას («კალმის აღებას») კერპათ მოითხოვენ, თანაც სასამართლოთი მემუქრებიან»-ო. კალამმა თუ ანგარიში არ უნდა გაუწიოს სიმართლესა და განსჯასა, სჯობია, რომ დაიმსხვრეს იგი! რაც შეეხება სასამართლოთი დამუქრებას, თუმცა თორმალური და ღირსეული იქნებოდეს, ხლო მართალი არ არის, არ დავმუქრებივართ.

ბ. ინგილო ხაზს უსვამს, ვითომც მე ხაზ-გასმით

\*) ვათავსებ ბ. შ. ვარდიძის წერილს, რომლის დაბეჭდვა სამწუხაროთ დავგიგვიანდა და ამით ვსპობთ ამ სავანზე ყოველგვარ კამათს. რედ.

ქებათა-ქება შემესხას ჩვენი სავანისათვის. ეს არ არის სწორი, რადგან არ იყო საკირო და მიზანშეწონილი. «ქართველი საქმისა და ხალხისადმი» მონასტრის ღვაწლზედ ორიოდ სიტყვა თუ გაკვრით მივწერე, ეს საკითხის სრული გაცნობისათვის, რათა გაუგებრობას და უსამართლობას ადგილი არ ჰქონოდა. რაც შეეხება ნაკლს, თურმე ბევრი ყოფილა ჩვენში! მხილვისათვის წინასწარ მადლობას ვუძღვნი. ვინაიდან უნდა იცოდეს, რომ ბერი სრული არ არის, არამედ სისრულისაკენ მიიღვრის, ამიტომ კარგს იწამს, ცოდვანი ჩვენი ჩამოთვალს და ამით დამამტკიცებელი საბუთებიც წამოაყენოს. თვით ბ. ინგილო დარწმუნებულია, რაღაც «გარანტიაც» აქვს მას თავის შეუცდომლობის და კეთილმოღვაწეობის, როცა საჯაროთ გვეკითხება: «რაში შევმცდარვარ? სად არის ის პრაგოკაციის ქსელი, რომელშიაც მე, მონასტრის განმარტების მიხედვით, გავბმულვარ»-ო? ამ შეკითხვას თვით შეუძლია ღირსეული პასუხი გასცეს. ჩვენი პასუხი კი იქნება ამ წერილის მეორე ნაწილში, როცა მთავარ საკითხის გარშემო რეალურ ფაქტებს დაულაგებთ. მანამდის კი გაკვრით ვეკითხებით: რომელ საბუთით დაამტკიცებს «ანდერძის ინტერპრეტაციით ქონების მისაკუთრებას ბერებისაგან, შემოწირულებათა აქტების ჩვენებას, ვითომც და მოლოზნები თანასწორი მესაკუთრეები იყვნენ და ბერები მანაც უსამართლოთ უარს ეუბნებოდნენ მათ ქონებაზე» და სხვ.? ასეთი წამოყენებული უნამდვილობა «პრაგოკაციის ქსელი» არაა, რომელშიც გაეხვია ბ. ინგილო?

უადგილოთ და უზომოთ აღლევებული ბ. ინგილო გვიკიჟინებს, ვითომც ჩვენი ბრალით, რაღაც «ურთგო მდგომარეობა გრძელდება ოცდაექვსი წელიწადია და ერთხელაც არ მოგვისურვებია ამისი მოწესრიგება თვინიერ უცხოთა რევიზიისა», რევიზია ნორმალურია და არ ამტკიცებს არც ჩვენს გულგრილობას და არც ჩვენს დანაშაულობას. პრესაში თუ არ ვიყვირეთ, ეს იმის მომასწავლებელი არ არის, რომ სასულიერო დაწესებულებებში სავალდებულო, ან მიღებულ წესებით და გზით არ ვსცადეთ მთელი ჩვენი შესაძლებლობის ენერგიით, რათა ადგილი არ ჰქონოდა მითქმა-მოთქმას. თვით ინგილოს რომ მოეხდინა რევიზია, ცილს არ დაგვწამებდა და პრესაში ვერ გამოვიდოდა. ნუ იწყენს, თუ ჩვენ არ ვიყვირეთ. ამიტომ დარწმუნდეს, რომ ვინც გვიცნობს, როგორც ქართველი, ისე რომი, ჩვენს უსამართლობას ვერ ხედავს.

ერთხელ და სამუდამოთ ისწავლოს, რომ სტამბოლის ორივე დაწესებულება სრულიათ სხვადასხვა სასულიერო ოჯახია. ეკლესიის ხელისუფლების გარდა ვერავინ გაერევა მათ საქმეში; ვერც ჩვენ ერთი მეორის საქმეში ჩავერევით თვინიერ ეკლესიის თანხმობისა ან ბრძანებისა, ვინაიდან ჩვენი და მოლოზნების სავანეები იურიდიულათ და ფაქტიურათ სხვა დასხვა დაწესებულებები არიან. ინგილო, ერისკაცი და გაუცნობელი კათოლიკე ეკლესიის Jus Canonici-ის, ისე როგორც ჩვენთა და მოლოზნათა წესდებულებების და საქმისა, მსაჯულათ არ უნდა გამოუსულიყო. ასეთ საკითხში მისი ჩარევა კიდევ დასა-

შვები იქნებოდა მხოლოდ საიდუმლოდ და რჩევის სახით.

ბ. ინგილოს და მის «მეთვალყურეს» თვალახედვა თუ არ აკლიათ, დანიხავენ, რომ ცამდის ატყორცნილი ზღუდე კი არა გვაკარავს, არამედ მონასტრის პატარა კარიც კი ღიაა ფართოთ. მას ისიც ვერ წარმოუდგენია, რომ მისი და ჩვენი პოლიტიკური და ეროვნული ფსიქოლოგია და სამშობლოსთვის ბრძოლა და ბრძოლის მეთოდები შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ბ. ინგილო პირადადაც მიკიჟინებს: თქვენ თვითონ მიდასტურებთ... თქვენ ხომ თვითონ მწერთ»-ო. პირველ წერილზე («დამ. საქარ.» № 55) გაცემულმა კერძო წერილით გავაფრთხილეთ და შეკითხვების სახით ოდნავ განუმარტეთ მას საკითხის სინამდვილე. მან მანაც არ შეაფასა თავის მიერ წამოყენებული ბრალდებულებანი და მაიწყებელი თავის ნათქვამისა, ჩვენ გადმოგვებრადა. ჩემი წერილი მას შეეძლოა დაენახა და კარგადაც გაეგო, რომ მათა სავანე დამნაშავე არ იყო არაფერში. ვითომც ქართული საქმის გარშემო ქართული სოლიდარობის ანუ თავდაცვის პრინციპით, მან გაიმეორა პირველი სიზნერლე, ხელმეორ გამოვიდა პრესით, რადგან (თვალის ისარში) ჩვენ მოვხვდით ცუდათ! რომელი საბუთით დაამტკიცებს ინგილო, რომ მე «გამემართლებინოს» მისი «მთავარი დებულება»—ესე იგი, ანდერძის ცრუ ინტერპრეტაციით და შემოწირულებათა აქტების შინაარსის წინააღმდეგ მთელი ქონება მივისაკუთრეთ და «ჩვენი (ბერების) უსამართლობის გამო», მოლოზნებმა ნახევარი მისაღები ქონებისა არ მიიღეს, რის გამო მოხდა «კონკურსი» ამათ სავანეში, სადაც «უცხოელები დაფარფაშებენ?» ამას მე ნუ მბრალის—ბოროტი ინფორმატორი სხვა ჰყავს; ნურც ჩადგება იგი იმათ რიგში, ვინც ჩვენ გვემტერებიან. ავტორი კიდევ შორს მიდის და მათქმევინებს, ვითომც «უცხოელები დაგვიცინიან... ვისაც ძალუქს ბანკროტთ გვაცხადებენ!» ესეც არ შეეფერება სინამდვილეს.

ბ. ინგილო არ ინდობს პაპის დილეგატს, მონსინიორ მარგადის, რომელს ვითომც უცხო «სუორები» ჰყლია თავის ამაღაში და «კონკურსის» მოხდენისათვის სავანეში მიუყვანია. ეს სრულიად უსაფუძვლოა. ფაქტი ასეთია: პაპმა ორი მოლოზნანი გამოგზავნა სტამბოლში ქართველ მოლოზნების სავანის რევიზიისათვის. ეს მოვლენა პაპის ინიციატივით იქნება თუ მისი ელჩისა, სულ ერთი და იგივეა. ამ აქტის დაგმობა სრულიად უტაქტოა და უსარგებლოც. ვურჩევთ ბ. ინგილოს, ვინაიდან რომშია, თავის ინფორმატორებთან ერთათ, თავისი წერილებით წარსდგეს ვატიკანში და პანტიფიკალურ სამფლობელოში, გაეცნოს საქმის რეალობას და გაიგოს რომის მსჯავრიც არა მარტო თავის მოქმედებაზედ, არამედ მის მიერ დასახელებულ მეთვალყურეზე, რომელიც თვით რომში უხის.

ამით ვათავებთ ამ არა სასიამოვნო პოლემიკას და გადავდივართ მთავარ დებულების სინამდვილეზე.

პ. შალვა ვარდიძე.  
(დასასრული იქნება)